ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

სამაგისტრო ნაშრომი

საქართველო-თურქეთის ბიზნეს ურთიერთობები და მისი განვითარების პერსპექტივები

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

მოდული: საერთაშორისო ბიზნესი

მაგისტრანტი: მირანდა სხილაძე

ხელმძღვანელი:საერთაშორისო ბიზნესის კათედრის

ასოცირებული პროფესორი ლალი ხიხაძე

თბილისი

2020

ანოტაცია

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომში განხილულია საქართველო-თურქეთის ბიზნეს ურთიერთობები და მისი განვითარების პერსპექტივები, კერძოდ ამ ურთიერთობების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები. დასაწყიში მიმოხილულია ამ ორ ქვეყანას შორის არსებული ბიზნეს თანამშრომლობის ევოლუციური განვითარების რეტროსპექტივა, შემდეგ კი - ბიზნეს თანამშრომლობის როლი და მნიშვნელობა.

გარდა ზემოხსენებულისა, ნაშრომში განიხილება რეგულირების ასპექტები თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ფონზე, საქართველო-თურქეთის საგარეო სავაჭრო პოლიტიკის თანამედროვემდგომარეობა და მისი განვითარების ტენდენციები. კერძოდ, რამდენიმე ქვეთავი სიღრმისეულად ასახავს საქართველოს საექსპორტო და საიმპორტო სავაჭრო პოლიტიკას თურქეთთან, ორ ქვეყანას შორის მრავალმხრივი ბიზნეს-თანამშრომლობის პრობლემებსა და მისი სრულყოფის გზებს. ამასთანავე, აქვე მოტანილია საქართველო-თურქეთის საინვესტიციო ურთიერთობები, საქართველო-თურქეთის ენერგეტიკული პოლიტიკა, სატრანზიტო დერეფნის თავისებურებანი და მისი სრულყოფის გზები.

ნაშრომი მოიცავს შინაარსს, შესავალს (თემის აქტუალობით, მიზნებით, ამოცანებით, კვლევის საგნით, ობიექტით, კვლევის მეთოდითა და მეთოდოლოგიური საფუძვლებით), ძირითად თემას (რომელიც შედგება 3 თავისა და 8 ქვეთავისაგან), დასკვნასა და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალს.

Annotation

The present master's thesis discusses the Georgian and Turkish business relations and the prospects for its development, in particular the theoretical and methodological foundations of these relations. First, a review of the evolutionary development of business cooperation between the two countries is considered, and then the role and importance of business cooperation.

In addition to the above, the paper discusses regulatory aspects in the light of the Free Trade Agreement, the current state of the foreign trade policy of Georgia and Turkey and its development trends. In particular , several subsections reflect in detail Georgia's export and import policies with Turkey, the problems of multilateral business cooperation between the two countries and ways to improve it. In addition, Georgian and Turkish investment relations, the energy policy of Georgia and Turkey, features of the transit corridor and ways to improve it are presented here.

The paper includes content, introduction (with actual topics, goals, objectives, subject matter of the research, object, research method and methodological basis, main topic (consisting of 3 chapters and 8 subsections), conclusion and list of used literature.

შინაარსი

ანოტაცია

Annotation

შესავალი ----------5

თავი I. საქართველო-თურქეთის ბიზნეს ურთიერთობების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები----------8

1.1. საქართველო-თურქეთის საქმიანი ურთიერთობებისა და თანამშრომლობის ევოლუციური განვითარების რეტროსპექტივა ----------8

1.2. საქართველო-თურქეთის ბიზნეს ურთიერთობების მიზნები და ამოცანები, მარეგულირებელი ფორმები თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ფონზე---------15

თავიII .საქართველო-თურქეთის საგარეო სავაჭრო პოლიტიკის თანამედროვე მდგომარეობა და მისი განვითარების ტენდენციები----------22

2.1. საქართველოს საექსპორტო სავაჭრო პოლიტიკა თურქეთთან ----------22

2.2. თურქეთის საიმპორტო სავაჭრო პოლიტიკა საქართველოსთან ----------28

2.3.საქართველო-თურქეთის საგარეო-სავაჭრო პოლიტიკის განვითარების თანამედროვე ტენდენციები ----------32

თავი III.საქართველო-თურქეთის მრავალმხრივი ბიზნეს ურთიერთობები, პრობლემები და მისი სრულყოფის გზები ----------36

3.1. საქართველო-თურქეთის საინვესტიციო ურთიერთობები----------36

3.2.საქართველო-თურქეთის საქმიანი თანამშრომლობა ენერგეტიკის სექტორში-------43

3.3. საქართველო-თურქეთის სატრანზიტო დერეფნის თავისებურებანი და მისი სრულყოფის გზები ----------46

დასკვნა ----------51

გამოყენებული ლიტერატურა----------54

დანართი N1----------57

შესავალი

თემის აქტუალობა. საქართველოს უახლეს ისტორიაში თურქეთი, როგორც ერთ-ერთი პარტნიორი ქვეყანა მნიშვნელოვან როლს თამაშობს. დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან თურქეთის რესპუბლიკა იყო ერთ-ერთი პირველი იმ ქვეყნებს შორის, რომლებმაც აღიარეს საქართველოს დამოუკიდებლობა. ეს ფაქტი შეიძლება მივიჩნიოთ საქართველო-თურქეთის შემდომი თანამშრომლობის გაღრმავებისა და ორმხრივი ურთიერთობების ჩამოყალიბების საფუძვლად. წლების განმავლობაში თურქეთ-საქართველოს შორის ყალიბდებოდა მეგობრული ურთიერთდამოკიდებულება და ამასთანავე მრავალმხრივი ბიზნესურთიერთობები.

ნაშრომის პირველ ნაწილში განვიხილავ საქართველო-თურქეთის ბიზნეს-თანამშრომლობის როლს და მნიშვნელობას, ბიზნეს-ურთიერთობების ევოლუციურ განვითარებას. მეორე ნაწილი დათმობილი აქვს ქვეყნებს შორის საგარეო სავაჭრო პოლიტიკის კურსს და საექსპორტო-საიმპორტო პოლიტიკას , ხოლო მესამე ნაწილში წარმოდგენილია ორი ქვეყნის მრავალმხრივი ურთიეთობების პრობლემები და მისი სრულყოფის გზები.

თანამშრომლობა ჩვენს მეზობელ თურქეთთან ყოველწლიურად ღრმავდებოდა და ეს პროცესი მიმდინარეობს დღესაც. აქტუალობას დღემდე არ კარგავს საქართველო-თურქეთის ურთიერთობის განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები. დღეისათვის თურქეთი საქართველოს სტრატეგიული სავაჭრო პარტნიორია. ამ ორი ქვეყნის ბიზნესურთიერთობების ხელშემწყობ ფაქტორად გვევლინება თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება. თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი, გეოგრაფიული მდებარეობა, სატრანზიტო დერეფანი, ორი ქვეყნის საერთო ინტერესები, აქტიური თანამშრომლობა სხვადასხვა სფეროში და საკითხში, მჭიდრო სავაჭრო პარტნიორობა განსაზღვრავს თემის აქტუალობას.

დღეს, თურქეთი საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი ქვეყანაა. ეს განპირობებულია მთელი რიგი ფაქტორებით. უდავოდ აქტუალურია თურქეთის როლი და მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკაში, როგორც სავაჭრო ურთიერთობების, ექსპორტ-იმპორტის, ასევე საინვესტიციო და ენერგეტიკული პოლიტიკის

თვალსაზრისით. თურქეთთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების არსებობდა ფართო გასაქანს აძლევს ქვეყანას. სტატისტიკური მონაცემებზე დაყრდნოით კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ თურქეთ-საქართველოს მდგომარეობა ამ ორი ქვეყნის თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულების ფონზე ასიმეტრიულია. ვინაიდან საქართველოს საექსპორტო პროდუქციის ნომეკლატურა არც ისე მრავალფეროვანია, განსხვავებით თურქეთის საიმპორტო პროდუქციისგან. საქართველო ძირითადად სანედლეულო რესურსების ექსპორტს ახორციელებს (მაგალითად ხე-ტყე, ოქრო და ა.შ.) რის გამოც ქვეყანა მნიშვნელოვან შემოსავალს კარგავს ყოველწლიურად. ამასთანავე ქვეყნის მთლიან იმპორტში, თურქეთს მნიშვნლოვანი წილი უჭირავს, რაც ნიშნავს იმას რომ მნიშვნელოვნად ვართ დამოკიდებული აღნიშნულ ქვეყანაზე. შესაბამისად თემის აქტუალობა გამომდინარეობს იქიდან, დღეს ისე როგორც არასდროს, მნიშვნელოვანია თურქეთთან, როგორც სტრატეგიულ პარტნიორ ქვეყანასთან ურთიერთობის კიდევ უფრო განვითარება. თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულების ფართო შესაძლებლობების გამოყენება, გარკვეულწილად ექსპოტ-იმპორტის ასიმეტიულობის დაბალანსება.

კვლევის მიზანი და ამოცანები: კვლევის მიზანია მეზობელ თურქეთთან არსებული სავაჭრო და ბიზნეს-ურთიერთობების შესწავლა, მისი განვითარების ტენდენციის ანალიზი და აღნიშნულის საფუძველზე სამომავლო პერსპექტივების გამოვლენა.

ნაშრომის ამოცანებს წარმოადგენს: არსებული სამეცნიერო ლიტერატურის და წყაროების, სხვადასხვა ჩანაწერების, სტატისტიკის მონაცემებზე დაყრდნობით შევისწავლოთ და გავაანალიზოთ ორი ქვეყნის ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების ტენდენციები, გამოწვევები, პრობლემები და მათი დაძლევის მექანიზმი. საქართველოს საგარეო პოლიტიკაში თურქეთის როლის და მნიშვნელობის გამოვლენა.

კვლევის საგანი/ობიექტი: თურქეთ-საქართველოს ბიზნეს ურთიერთობები და მისი განვითარების ტენდენციები, ორი ქვეყნის საგარეო სავაჭრო პოლიტიკის ასპექტები, საინვესტიციო ურთიერთობები, საქართველო -თურქეთის სატრანზიტო დერეფნის მნიშვნელობა და თავისებურებანი. თურქეთ-საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება და ამ ხელშეკრულების ეფექტები. ასევე ადგილობრივი და რეგიონული მნიშვნელობის ენერგეტიკული პროექტები.

კვლევის მეთოდი/მეთოდოლოგიური საფუძვლები: ნაშრომში გამოყენებულია მეცნიერების მიერ შემუშავებული მეთოდები და პრინციპები კომპლექსურად. მათ შორის, ქრონოლოგიური, შედარებითი, სტატისტიკური, რეტროსპექტული, ეკონომიკური ანალიზისა და სხვა. ნაშრომში გამოყენებულია საკვლევ პრობლემის ირგვლივ არსებული სსხვადასხვა სამეცნიერო მასალები, სტატიები, დოკუმენტები, ხელშეკრულებები, და ა.შ. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშები, თემასთან დაკავშირებული სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემები. აღნიშნულის ანალიზის საფუძველზე გამოტანილია დასკვნები და ორი ქვეყნის ბიზნესურთიერთობის განვითარების ტენდენციების შეფასება და სამომავლო ხედვები.

თავიI . საქართველო-თურქეთის ბიზნეს ურთიერთობების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები

1.1 საქართველო-თურქეთის თანამშრომლობისა და საქმიანი ურთიერთობების ევოლუციური განვითარების რეტროსპექტივა

21-ე საუკუნის მსოფლიო ეკონომიკა ეყრდნობა ქვეყნებს შორის ორმხრივ და მრავალმხრივ ბიზნეს-ურთიერთობებს. დღესდღეობით არცერთ ქვეყანას არ ძალუძს დამოუკიდებლად, ჩაკეტილი ეკონომიკის პირობებში განავითაროს სახელმწიფო და მიაღწიოს ეკონომიკური ზრდის მაღალ მაჩვენებლებს. გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს. უკანასკნელი 30 წლის ისტორიას თუ გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რაოდენ რთული და მნიშვნელოვანი გზა განვლო საქართველომ ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების თავლსაზრისით.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა საქართველოსთვის მთელ რიგ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, რომელთა შორის წინა პლანზე ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური პრობლემები აღმოჩნდა. თურქეთის რესპუბლიკამ ერთ-ერთმა პირველმა აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა, რის შემდეგაც დაიწყო ორი ქვეყნის ორმხრივი მეგობრული და საქმიანი ურთიერთობების განვითარება და გაღრმავება, რომლის საწყის სამართლებრივ დოკუმენტად შეგვიძლია ჩავთვალოთ ჩარჩო ხელშეკრულება მეგობრობისა და კეთილმეზობლური ურთიერთოების შესახებ, რომელიც გაფორმდა 1992 წელს.

საქართველოსა და თურქეთს შორის წლების განმავლობაში ვითარდებოდა ორმხრივი თანამშრომლობა და საქმიანი ურთიერთობები. ეს ყოველივე განპირობებული იყო თითოეული მხარის დაინტერესებითა და მონდომებით. თურქეთი მუდმივად ცდილობდა საქართველოსთან დაემყარებინა მჭიდრო სავაჭრო კავშირები, ვინაიდან საქართველოს ბაზრის ათვისება შედარებით მარტივი იყო და იყო შესაძლებლობა ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი აეთვისებინა თურქეთის საექსპორტო პროდუქტს. გარდა სავაჭრო კავშირისა, მისთვის ჩვენი ქვეყანა მნიშვნელოვანი და საინტერესო იყო

ერთგვარი „გამტარი“ ქვეყნის გამოყენების კუთხითაც. თურქეთი ცენტრალური აზიას სწორედ საქართველოს სატრანზიტო დერეფნის წყალობით დაუკავშირდებოდა.

ამ ორი ქვეყნის ურთიერთთანამშრომლობა ეკონომიკის, ბიზნესის და სხვა სფეროებში აქტიურ ფაზაში შევიდა ჯერ კიდევ მე-16 მე-19 საუკუნეებში. რაც გამოწვეული იყო, პირველ რიგში, მათი ტერიტორიული მდებარეობითა და სიახლოვით. სავაჭრო ურთიერთობები ხორციელდებოდა სახმელეთო და საზღვაო ტრანსპორტის მეშვეობით. ძირითადად სამცხის სახმელეთო გზისა და ფოთის ნავსადგურის გამოყენებით.[1]

საქართველოში ხორციელდებოდა სხვადასხვა საქონლისა და პროდუქციის იმპორტი, მათ შორის: ცხენის შეკაზმისთვის საჭირო მოწყობილობები, ხმალი, ხანჯალი, ხალიჩა, საბანი, ტყავი, შალი, შაქარი, რკინა, პილპილი, თევზი, ტილო, მატყლი, მარილი.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ იმ პერიოდში ბიზნესურთიერთობები არ იყო ცალმხრივი და საქართველოდანაც ხორციელდებოდა ექსპორტი თურქეთის ბაზარზე. საექსპორტო პროდუქტებს შორის იყო: თაფლი, სელის ძაფი, წავის ტყავი, კვერნის ტყავი, კანაფი და ა.შ. გონიო იყო ერთერთი გზაგამტარი ქვეყნებს შორის. ასევე ოსმალეთში, და სხვა აღმოსავლეთის ქვეყნებში იგზავნებოდა მაღალი ხარისხის აბრეშუმი, რომელსაც შემდგომ ფართოდ გამოიყენებდნენ სხვადასხვა დანიშნულებით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოდან ექსპორტზე გაჰქონდათ არა ერთი პროდუქტი. ერთ-ერთი მომგებიანი საექსპორტო საქონელი იყო ბზის ხე და ასევე ქართული თაფლი, რომლის განსაკუთრებულ თვისებებზე იმ პერიოდშივე საუბრობდნენ. სწორედ ამიტომ, ამ ორი საქონლით ვაჭრობა მაღალ შემოსავალს აძლევა რეალიზატორებს. გარდა ამისა, სამწუხაროდ, არსებობდა ტყვეებით ვაჭრობაც. თურქული საქონელი ქართველ ტყვეებზე იცვლებოდა, რითაც ძალიან დიდ შემოსავალს იღებდნენ კონკრეტული პირები თურქულ ბაზრებზე. დაახლოებით წლის მანძილზე 3000 ტყვე იცვლებოდა.

დასავლეთ საქართველოში ქუთაისი წარმოადგენდა აღნიშნული თანამშრომლობის მნიშვნელოვან კერას. ეს იყო ერთგვარი თავშეყრის ადგილიც. ამავდროულად მეგრელ

[1]ათანელიშვილი თ. ,, ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ” , უნივერსალი, თბილისი, 2006;

ვაჭრებს მიაჩნდათ, რომ აბრეშუმით ვაჭრობა მნიშვნელოვანი სარგებლის მომტანი იქნებოდა მათთვის, ხოლო ამავე კუთხის წარმომადგენლები ცდილობდნენ თურქი ვაჭრების სამეგრელოში ჩამოსახლებას. ქუთაისი, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავშეყრის ადგილის არსებობისა და როლისა, დასავლეთ საქართველო მუდმივ სავაჭრო პარტნიორად მაინც არ მოიაზრებოდა. ამას აქვს თავისი ახსნა და მიზეზი. ქვეყნის დასავლეთი ეკონომიკურად, აღმოსავლეთ საქართველოსთან შედარებით, სუსტი იყო და ასევე სამეგრელოს მთავრების მონდომება, ეკონომიკური ურთირთობების გაღრმავებისა, სხვადასხვა გზით, არ იყო პერმანენტული ხასიათის. რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს, იგი ითვლებდა უფრო მყარ და მუდმივ სავაჭრო ურთიერთობების პარტნიორად.

ამ უკანასკნელთ შორის დამაკავშირებელ და გამშვებ პუნქტს წარმოადგენდა ტაშის-კარის საბაჟო. აღნიშნულ პუნქტს გადიოდა თურქეთიდან და არამხოლოდ თურქეთიდან შემომავალი საქონელი; ისეთი როგორიცაა მაგალითად, ჩაი, ზეთისხილი, ბამბა, მარილი, მაუდი, აბრეშუმი და ა.შ.

მე-17 საუკნეში კიდევ უფრო ატიურად ცდილობდნენ ბაზრის დამკვიდრებას ვაჭრები აღმოსავლეთ საქართველოში. ამ პერიოდისთვის თურქეთიდან ხორციელდებოდა ოქროსფერი ქსოვილების, შალი, აბრეშუმის, საფეიქრო ნაწარმის იმპორტი.[2] ამავე პერიოდში ბურსა, სტამბოლი, ერზრუმი, ვანი და სხვა ქალაქები წარმოადგენდნენ სავაჭრო-სატრანზიტო ცენტრს საქართველოსთვის.

მიუხედავად ორმხრივი ბიზნესურთიეთობებისა, არსებობდა სხვადახვა დაძაბული პოლიტიკური მოვლენები, რის გამოც ვერ ხერხდებოდა და ჭიანურდებოდა გრძელვადიანი მჭიდრო თანამშრომლობა. 1801 წელს შეიზღუდა თურქეთთან სავაჭრო ურთიერთობები, რუსეთის იმპერიის გავლენის გამო, ოცი წლის შემდგომ გახლდათ ათ წლიანი შედარებით თავისუფალი სავაჭო ურთიერთობები სხვა სახელმწიფოებთან, თუმცა ეს პერიოდი, რა თქმა უნდა, არ იყო საკმარისი. რამდენიმე ათწლეულის შემდეგ 1918-21 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მცდელობაც,

[2]ათანელიშვილი თ., ,,ეკონომიკურირეფორმებისაქართველოსდემოკრატიულრესპუბლიკაში'' , უნივერსალი, თბილისი, 2006

დაემყარებინა და განევითარებინა საერთაშორისო ურთიერთობები ამაო აღმოჩნდა. ცხადია, სსრკ-ს დაშლამდე საერთაშორისო ურთიერთობების რეგულირებაზე საუბარიც ზედმეტი იყო. სსრკ-ს დაშლის შემდგომ კი განსაკუთრებულ ფაზაში შევიდა თურქეთთან და არამხოლოდ თურქეთთან ურთიერთობების დარეგულირების პროცესი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ამ კრიტიკული პერიოდში, მეზობელი ქვეყნის მხარდაჭერა. დღეისათვის იგი საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი ქვეყანაა, თუმცა დღევანდელ რეალობას საფუძვლად რამდენიმე ათწლეულის ისტორია უდევს.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვება მთელ რიგ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა განსაკუთრებულად მძიმე აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნისთვის. მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა და კრიზისი უფრო და უფრო ართულებდა სიტუაციას. აღნიშნულ პერიოდში ფაქტობრივად შეუძლებელი იყო ქვეყანას დამოუკიდებლად გადაერჩინა თავი ახალი სავაჭრო პარტნიორების და უცხოური კაპიტალდაბანდების გარეშე. თურქეთი გახლდათ ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელმაც დახმრების ხელი გამოგვიწოდა. ქვეყანამ ჩვენგან დამოუკიდებლად მიიღო ეს გადაწყვეტილება და აქტიურად ჩაერთნენ ორმხრივი ურთიერთობების დამყარების პროცესებში. საქართველოსთვის გარკვეულწილად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნადაც შეიძლება მივიჩნიოთ თურქეთის მიერ ყველაზე მძიმე პერიოდში გამოწვდილი ხელი. აქტიურ კომუნიკაციას და საერთო ინტერესებს დადებითი შედეგები მალევე მოჰყვა. საქართველოსთვის ხელმისაწვდომი გახდა საჭირო სამრეწველო და სხვა საქონელი, რომელიც ჰაერივით საჭირო იყო მისთვის. გადაიჭრა ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემაც და ქვეყანა თანამშრომლობის, საქმიანობის ახალ ეტაპზე გადავიდა.

სსრკ-ს დაშლა და თურქეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება თითქმის ერთდროულად მოხდა.[3] როგორც უკვე აღვნიშნეთ, თურქეთი იყო საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის მხარდამჭერი და მიუხედავად არსებული მძიმე პოლიტიკური ფონის, მძიმე ეკონიმიკური, სოციალური და სხვა პრობლემებისა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები მაინც სტრატეგიულად

[3] Mehmet Türüncü,1998, 197

ვითარდებოდა. ოფიციალურად, თურქეთმა 1991 წლის 16 დეკემბერს ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, აღიარა მისი სახელმწიფოებრიობა და დაამყარა მასთან დიპლომატიური ურთიერთობა. აღნიშნულთან დაკავშირებით შედგა ოფიციალური ვიზიტი 1992 წლის 21 მაისს. საქართველოში ჩამოვიდა თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰიქმეთ ჩეთინი.[4] ვიზიტის დროს, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ჰიქმეთ ჩეთინისა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავჯდომარის ედუარდ შევარდნაძის შეხვედრისას, განიხილეს სხვადასხვა საკითხები. ხოლო შესაბამის შეთანხმებას, ხელი მოეწერა თურქეთის პრემიერ - მინისტრ სულეიმან დემირელის ვიზიტის დროს, რომელიც შედგა 1992 წლის 30 ივლისს.[5] თურქეთის პრემიერ-მინისტრმა სულეიმან დემირელმა, საქართველოში ჩამოსვლისას აღნიშნა, რომ მოხარულია ამ ვიზიტით, და მზადაა თანამშრომლობის გზების განხილვისათვის სხვადასხვა ფართო მასშტაბით. მან ასევე აღნიშნა, რომ დემოკრატიის გზა რთული გზაა, თუმცა შეხვედრილი დაბრკოლებების დაძლევის იმედი გამოთქვა. ასევე ხაზგასმით აღნიშნა და დაასტურა თურქეთის მზაობა გვერდით დაუდგეს საქართველოს, რომ ორ ქვეყანას აქვს საერთო გზა და მიზნები ეკონომიკური თანამშრომლობის.[6] ამავე ვიზიტის დროს საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტმა ისაუბრა ამ ვიზიტის მნიშვნელობაზე, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ასეთი მაღალი რანგის ვიზიტი საქართველოსათვის მნიშვნელოვანი იყო და ისაუბრა ჰელსინკის ისტორიულ აქტზეც (1975 წ. მიღებული „ჰელსინკის აქტი“, რომლითაც განისაზღვრა სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების პრინციპები), და ამ აქტის სამშვიდობო მნიშვნელობაზე მსოფლიოში. აღნიშნული ფაქტები მანიშნებელი იყო იმისა, თუ რაოდენ დიდი როლი ეჭირა თურქეთის რესპუბლიკას საქართველოს მომავალ ისტორიაში. აღნიშნულ შეხვედრაზე საქართველოს ლიდერმა მიმოიხილა ის მდგომარეობა რომ ჩვენი რეგიონი ყოველთვის რთულ გზას გადიოდა და ამ ფეთქებადი რეგიონისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი და მისასალმებელი იყო თურქეთის იმდროინდელი საგარეო პოლიტიკა,

[4]კომახიძე, თბ., 1994 წ., გვ. 29
[5]კომახიძე, თბ., 1994 წ., გვ 30
[6]საქართველოს რესპუბლიკა, N143.31.07.1992 წ.

რომელიც მიზნად ისახავდა მეზობელ ქვეყნებთან მშვიდობიანი ურთიერთოების დამყარებასა და შენარჩუნებას.[7]

მას შემდეგ, არსებული მრავალმხრივი ურთიერთობები კიდევ უფრო ღრმავდება და ამ გაღრმავებას სამართლებრივი დოკუმენტებიც უდევს საფუძვლად. პროცესში აქტიურად არიან საერთაშორისო ორგანიზაციებიც ჩართულნი.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ეს ორი ქვეყანა გარკვეულწილად მსგავს პოზიციაში იმყოფება, კერძოდ: ევროპისა და აზიის გზაგასაყარზე. ორივე მათგანი წარმოადგენს სატრანზიტო დერეფნის მნიშვნელოვან რგოლს, შესაბამისად ამით ნაწილობრივ აიხსნება თურქეთის ინტერესი საქართველოსადმი და პირიქით.

თურქეთი საქართველოს მიმართ განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს სხვა მნიშნელოვანი მიზეზების გამოც; ჩვენი ქვეყანა არის ერთგვარი ხიდი აზიის ქვეყნებთან დასაკავშირებლად, ამასთანავე აქ მოიპოვება იაფი მუშხელი, დროებითი იაფი შრომითი მიგრანტების სასურველი რაოდენობა, თავისუფალი კაპიტალის ინვესტირების განხორციელების სასურველი სივრცე. შესაბამისად საქართველოსთან თანამშრომლობა თურქეთისთვის მთელი რიგი სარგებილისა და დადებითი შედეგების მომტანია. ამასთანავე არსებობს მეორე მხარეც, ბევრი შეიძლება ვისაუბროთ საქართველოსთვის თურქეთთან თანამშრომლობის დადებით ეფექტებზე, პოტენციალსა და სხვადასხვა სიკეთეების მოტანის შესაძლებლობებზე. საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში თურქეთის ხვედრითი წილი ყოველწლიურად იზრდება. ამასთანვე ფაქტია ისიც, რომ ადგილი აქვს ექსპორტ-იმპორტის დისბალანსს. ვინაიდან თურქეთიდან განხორციელებული იმპორტი რამდენჯერმე აღმატება საქართველოს საექსპორტო საქონლის მოცულობას თურქეთში. აღნიშნულიდან გამომდინარე ფაქტია, რომ ორივე მხარე დაინტერესებულია საქმიანი ურთიერთობების გაგრძელებით, ორივე ქვეყნისთვის გასაგებია და ღირებული ერთმანეთთან თანამშრომლობა, მეგობრული კავშირები, სტრატეგიული პარტნიორობა, რომლის სფუძველზეც არაერთხელ გადაჭრილა სხვადასხვა მხარის სოციალურ-ეკონომიკური და სხვა პრობლემები.

[7]მაკარაძე, თბ.,1995 წ., გვ. 152

შეთანხმება ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის შესახებ 1994 წლის მაისში დაიდო იგი შეეხებოდა საბაჟო სფეროში თანამშრომლობას. ეს იყო ხელშემწყობი დოკუმენტი და ბაზა ვაჭრობის მოცულობის ზრდისა. მომდევნო წელს კი, თურქეთი საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორი გახდა. თურქეთს საქართველოს საგარეო ბრუნვაში თხუთმეტ პროცენტიანი წილი ეჭირა, რაც რამდენიმე დეკადის მანძილზე გაგრძელდა. 1995 წელს 129 მლნ აშშ დოლარიდან ოც წელიწადში 2 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა. გარდა ზემოთ ნახსენები დოკუმენტისა, აღსანიშნავია, რომ ორი ქვეყნის ნორმატიულ-სამართველბრივ ბაზას შეემატა არაერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც სხვადასხვა სფეროს არეგულირებს. განსაკუთრებული აქტუალობა და მნიშვნელობა აქვს ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შეთანხმებასა და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების დადებას 2007 წელს. ეს უკანაკნელი გახდა ძირითადი ხელშემწყობი და სტიმულატორი ბიზნესის განვითარებისა და ორმხრივი ურთიერთკავშირის კიდევ უფრო გაღრმავებისა.

დიაგრამა№1. საქართველოს საგარეო ვაჭრობა 1995 - 2000 წლებში USD 1,000;



წყარო:საქართველო სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

როგორც ვხედავთ, თურქეთს გასული საუკუნის მიწურულამდე საგარეო ვაჭრობაში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს და მეორე პოზიციას იკავებს. საქართველო თურქეთში

ახორციელებდა ელექტროენერგიის, ლითონების, თეზვეულისა და სხვა საქონლის ექსპორტს; ხოლო საიმპორტო საქონელს წარმოადგნედა ავეჯი, კაბელები, ფარმაცევტული ნაწარმი და ა.შ.[8]

1.2. საქართველო-თურქეთის საქმიანი ურთიერთობების მიზნები და ამოცანები, მარეგულირებელი ფორმები თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ფონზე

თურქეთსა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 8 წლის შემდეგ სავაჭრო ბრუნვა 600 მილიონი დოლარით გაიზარდა (40%-ით). [9]

აღნიშნული ხელშეკრულების დადებისა და ხელმოწერის ინიციატორი ქართული მხარე იყო: მთავრობას ჰქონდა მოლოდინი იმისა, რომ რუსული ემბარგოს შედეგების აღმოფხვრა შესაძლებელი იქნებოდა თურქეთის ბაზარზე შესვლით და ასევე ქვეყანაში სწრაფად შემოედინებოდა პირდაპირი ინვესტიციებიც.

აღსანიშნავია, რომ დოკუმენტი დიდხანს არ იყო ხელმისაწვდომი საზოგადოებისთვის. როგორც მაშინ, ახლაც ექსპერტები და მეწარმეებიც აცხადებდნენ, რომ ხელშეკრულება ნაჩქარევად მომზადდა და თავის შინაარსით ასიმეტრიული იყო - საქართველო გაცილებით მეტ დათმობაზე წავიდა, ვიდრე თურქეთი.

ხელშეკრულების გაფორმებამდე საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით , 174 ტიპის პროდუქციის შემოტანაზე 12% - იანი საბაჟო გადასახადი მოქმედებდა , ხოლო 43 სახეობაზე - 5% - იანი. შეთანხმების შემდეგ კი, ყველა ზემოხსენებული პროდუქტები 15 პოზიციის გარდა, რომელიც მოხსენებულია პირველ პროტოკოლში, გათავისუფლდა გადასახადებისგან. რაც შეეხება თურქულ მხარეს, გადასახადებისგან არ გათავისუფლდა

[8]საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო , 2014
[9]თურქეთთან თავისუფალ ვაჭრობას ევროკავშირი (DCFTA) გამოაცოცხლებს , 11.02.2016
http://eugeorgia.info/ka/article/368/turqettan-tavisufal-vachrobas-evrokavshiri-dcfta-gamoacocxlebs/

პროდუქტების 8 კატეგორია (თითოეული კატეგორია 10 პოზიციისგან შედგება) და დამატებით - 22 პოზიცია.

შეზღუდვები ორივე მხრიდან, ძირითადად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას შეეხო. თურქეთი, რომელსაც მაღალ დონეზე განვითარებული აგრარული სექტორი აქვს, საკუთარ წარმოებას იმპორტისგან მაქსიმალურად იცავს, როგორც საბაჟო-ტექნიკური ბარიერებით, ასევე დარგის აქტიური სუბსიდირებით (მათ შორის, ექსპორტზეც).

ვიდრე თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას გააფორმებდა, 2006 წლიდან საქართველო, როგორც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი, უკვე სარგებლობდა თურქეთთან პრეფერენციული სისტემით (GSP+), რომლის ფარგლებში, 7200 პროდუქცია გათავისუფლებული იყო საბაჟო გადასახადისგან.

როგორც „ლიბერალური აკადემიის“ კვლევაში აცხადებდნენ, საქართველოს 16 ძირითადი საექსპორტო პროდუქტიდან 10-ს GSP+ ფარავდა, ორს (მათ შორის, კოპტონსა და დამარილებულ თევზს) არცერთი ხელშეკრულება შეეხო, სამი გათავისუფლდა, ხოლო ერთი ქვოტას დაექვემდებარა.[10] საბაჟო ტარიფები არ გაუქმდა სასოფლო-სამეურნეო კონკრეტულ პროდუქტებზეც, მაგალითად: ღვინოზე, წვენებზე, ყველზე და ა.შ. ხელშეკრულება ზედაპირული ხასიათის იყო, არ შეხებია მომსახურების სფეროსა და საინვესტიციო სფეროს. უფრო მეტიც, ევროკომისიის მიერ განხორციელებული კვლევის თანახმად (2008 წ.) აღნიშნული დოკუმენტი არ სცდება ვმო-ს დებულებებსაც კი.[11]

თურქეთსა და საქართველოს შორის საქმიან ურთიერთობებზე და ასევე სავაჭრო პარტნიორობაზე საუბრისას აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარე. ვიცით, რომ აღნიშნულ ქვეყანასთან აქტიური სავაჭრო ურთიერთობები გვაკავშირებს და ჩვენი ქვეყნის საგარეო სავააჭრო ბრუნვაში მნიშნელოვანი პროცენტული მაჩვენებლითაც ლიდერობს. რაც გარკვეული რისკის შემცველიც არის. ეს ნიშნავს იმას, მნიშვნელოვნად ვართ დამოკიდებული კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკისა თუ პოლიტიკური სიტუაციის სტაბილურობაზე. ნებისმიერი

[10]თურქეთთან თავისუფალ ვაჭრობას ევროკავშირი (DCFTA) გამოაცოცხლებს, 11.02.2016
http://eugeorgia.info/ka/article/368/turqettan-tavisufal-vachrobas-evrokavshiri-dcfta-gamoacocxlebs/
[11]თურქეთთან თავისუფალ ვაჭრობას ევროკავშირი (DCFTA) გამოაცოცხლებს, 11.02.2016
http://eugeorgia.info/ka/article/368/turqettan-tavisufal-vachrobas-evrokavshiri-dcfta-gamoacocxlebs/

კრიზისული სიტუაცია საქართველოზეც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს. შესაძლოა, რომ ამ ზემოქმედებამ თურქეთთან შედარებით საქართველოზე მეტად უარყოფითი გავლენა იქონიოს.

თითოეული ქვეყანა ცდილობს, მაქსიმალურად შეზღუდოს სხვა ქვეყანაზე დამოკიდებულება სხვადასხვა კუთხით. ბაზარი უნდა იყოს მაქსიმალურად დივერსიფიცირებული, რაც გარკვეული რისკების შემცირების წინაპირობაა. შესაბამისად ნედლეულის, აგრარული თუ სხვა სექტორის ბაზრებზე დამოკიდებულება, შეძლებისდაგვარად, მაქსიმალურად უნდა იქნას განეიტრალებული ბაზრის დივერსიფიკაციის გზით. აღნიშნული პოლიტიკის მატარებელია თურქეთიც, რომელიც აქტიურად და მუდმივად ცდილობს ბაზრების დივერსიფიცირებას. თურქეთის საგარეო ვაჭრობის თითქმის ნახევარი ევროპის ქვეყნებზე მოდის, ქვეყანა კი ცდილობს არათუ ევროპის ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის გაძლიერებას, არამედ სხვა, კერძოდ აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ახალი ბაზრების ძიებასა და ათვისებას. ეს არის ერთგვარი გამოსავალი კრიზისულ სიტუაციაში. ასეთ დროს ქვეყანას აქვს შესაძლებლობა დააკომპენსიროს მძივე ვითარება, სავაჭრო პარტნიორებთან საქმიანი ურთიერთობების კიდევ უფრო გააქტიურებითა და გაღრმავებით.

საქართველოსთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანია კონკრეტულ ქვეყანაზე დამოკიდებულების დონის მინიმუმამდე შემცირება. მაგალითად ტურიზმის სექტორი ფაქტობრივად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საქართველოსთვის. გლობალურმა პენდემიამ, რომელიც დღესაც მძვინვარებს გლობალურ სამყაროში, ნათლად გვაჩვენა თუ როგორი უარყოფითი გავლენა იქონია ეკონომიკის ყველა სექტორზე, განსაკუთრებით კი ტურიზმზე, რომელიც დღემდე არ ვიცით როდის შეძლებს აღდგენას.

როდესაც ვსაუბრობთ, რისკების, დამოკიდებულების შემცირებაზე რომელიმე სექტორის ან ქვეყნისადმი, ეს არ უნდა აღვიქვათ რომელიმე ბაზარზე უარის თქმის საჭიროებად. პირიქით, ქვეყანა უნდა ეცადოს არსებულ ბაზრებზე ადგილის შენარჩუნებას და ამასთანავე აქტიურად ეძებოს ახალი ასათვისებელი ბაზრები. რაც გრძელვადიან პერიოდში გამოიწვევს ვაჭრობის სტრუქტურაში ქვეყნებთან საგარეო ვაჭრობის მოცულობის ერთნიშნა ნიშნულამდე ჩამოყვანას.

საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საერთაშორისო ბიზნესურთიერთობების გაღრმავება, გაფართოება, ასევე ინვესტიციების მოზიდვა. საჭიროა თურქეთთან აქტიური მოლაპარაკებები წარიმართოს თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულების გარკვეულ ცვლილებებთან დაკავშირებით. უფრო კონკრეტულად კი მნიშნელოვანია, ქვოტები ჩვენთვის მომგებიან პროდუქტებზე შემცირდეს ან გაუქმდეს. რათა ქართულმა პროდუქციამ შეძლოს თურქული პროდუქციისთვის კონკურენციის გაწევა. ეს ეხება განსკუთრებით სოფლის მეურნეობის პროდუქტებს, ვინაიდან თურქულ სასოფლო სამეურნეო პროდუქცია ფაქტობრივად იპყრობს ქართულ ბაზარს. იმპორტის მაჩვენებლებიც მაღალ ნიშნულზეა. ასევე საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ევროკავშირის მსგავსად მეზობელი თურქეთიც ითხოვს EURO1-ს-უვნებლობის დამადასტრებელ სერთიფიკატს. რისი მიღებაც მეწარმეებისსთვის არ არის მარტივი, ვინაიდან დაკავშირებულია მნიშვნელოვან ხარჯთან. ასე მაგალითად ერთი ლაბორატორიული კვლევის ხარჯი 2000$-მდე მერყეობს.

კარგ მაგალითად გამოდგება ქართული თაფლის ექსპორტის პოტენციალის განხილვა თურქეთის ბაზარზე. საჭიროა თაფლის ქვოტის გაზრდა და ასევე დაწესებული საბაჟო გადასახადისა და შეზღუდვების მოხსნა, რაც თაფლის მწარმოებლებს და ექსპორტიორებს მისცემს ბიძგს აქტიურად შევიდნენ თურქეთის ბაზარზე. ამის პარალელურად მათ უნდა ჩაუტარდეთ ტრენინგები, რისი მეშვეობითაც მიეწოდებათ ინფორმაცია თაფლის წარმოების თანამედროვე გამოცდილებასთან დაკავშირებით. სახელმწიფო იყოს მოტივატორი მეწარმეთათვის, დაეხმაროს მათ სხვადასხვა საკითხების გადაჭრაში. მაგალითად: რეკლამირებასა და ბრენდირებაში. აღსანიშნავია, რომ ქართული თაფლის მაღალხარიხსიანობა და ნატურალურობა ცნობილია ზოგიერთი ევროული კომპანიისთვისაც, რომლებიც განსაკუთრებულად არიან დაინტერესებულნი ამ პროდუქტით. ნატურალური თაფლის სამკურნალო და სასარგებლო თვისებების გამო, იგი ერთ-ერთი მოთხოვნადი პროდუქტია მსოფლიო ბაზარზე. შესაბამისად ქართული თაფლით შეგვიძლია მნიშვნელოვანი ფინანსური მოგების მიღება. თაფლის წარმოების ევროპული სახელმწიფოების გამოცდილებიდან საინტერესოა ლიტვური გამოცდილება, რომელიც სასურველია, რომ სახელმწიფოს დახმარებით გაიზიარონ ქართველმა

მწარმოებლებმა. ამასთანავე მნიშვნელოვანია მათ იცოდნენ იმ მოთხოვნებთან და გადასახადებთან დაკავშირებით, რომელიც თან ახლავს თითოეული ქვეყნის ბაზარზე შეცვლის პროცესს (მაგალითად საჭიროა საერთაშორისო ვეტერინალური სერთიფიკატი ორი სახის და ა.შ). ასევე წინასწარ შესწავლილი და გაანალიზებული უნდა იქნას ბაზარი და ის, თუ რამდენად კონკურეტუნარიანია ეს პროდუქტი თითოეულ ბაზარზე, რის შემდეგაც შეიძლება ვისაუბროთ ლიბერალიზაციაზე.

რაც შეეხება, საქართველოსა და თურქეთის ტურიზმის სექტორს, იგი თურქეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია. (მაგალითად: 2018 წელს ტურიზმს 6.4 %-იანი წილი ეჭირა თურქეთის ეკონომიკაში). ტურიზმიდან მიიღება მნიშვნელოვანი სავალუტო შემოსავლებიც. აღსანიშნავია მეზობელი ქვეყნის გამოცდილება ამ სფეროში, რომლის გაზიარებაც დადებითი ეფექტის მომტანი იქნება ჩვენი ქვეყნისთვის.

გარდა ტურიზმისა, ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულება და მისი პირობები. ზემოთ, უკვე აღვნიშნეთ, რომ აღნიშნული ხელშეკრულება ნაჩქარევად მომზადდა და თავისი შინაარსით ასიმეტრიული იყო. განსაკუთრებით საქართველოსთვის არის აქტუალური და მნიშვნელოვანი, რომ აღნიშული დოკუმენტი გადაიხედოს და მასში შევიდეს გარკვეული ცვლილებები, იმდაგვარად, რომ მან მოგვცეს შესაძლებლობა შედარებით თანაბარ სიტუაციში აღმოვჩნდეთ და აღმოვფხრათ დღეს არსებული დისბალანსი ექსპორტ-იმპორტის კუთით.

გარდა ამისა, პრობლემატური საკითხია შრომითი მიგრანტების მდგომარეობაც. აუცილებელია მათი საქმიანობა მოექცეს კანონიერ ჩარჩოში. კერძოდ კი, ხელშეკრულებით დარეგულირდეს იგი, მიგრანტებს შეექმენათ მუშაობის შესაბამისი პირობები და ანაზღაურება გახდეს რეალური. კანონის ფარგლებში მათი საქმიანობის მოქცევამ შესაძლოა გამოიწვიოს მათი პირადი შემოსავლების შემცირება, თუმცა ამას მეორე მხარეც აქვს; ისინი იქნებიან გაცილებით დაცულნი სხვადასხვა პრობლემებისგან. მათ ექნებათ გაცილებით უსაფრთხო გარემო და სტაბილურობა.

დღევანდელი მდგომარეობით, საქართველო-თურქეთი თანამშრომლობს არაერთ სფეროში და თითქმის ყველა სეგმენტი რეგულირდება იურიდიულად, შესაბამისი

სამართლებრივი ბაზით. ხელშეკრულებებით, შეთანხმებებით, დადგენილებებით და აშ. ქვეყნებს შორის ხშირია საკანონმდებლო-აღმასრულებელ დონეზე ვიზიტების გაცვლაც. გარდა ამისა, მოქალაქეებს გადასაადგილებლად ვიზა არ სჭრიდებათ და საზღვრის გადაკვეთა შესაძლებელია მხოლოდ პირადობის მოწმობით.

ორი ქვეყნის ურთიერთობა მხოლოდ სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობით არ შემოიფარგლება. მნიშვნელოვანია თურქული ინვესტიციების მნიშვნელოვანი წილი საქართველოს საინვესტიციო სექტორში. ინვესტიციები ხორციელდება სამშენებლო სექტორში, ინფრასტრუქტურულ პროექტებში და ა.შ. გარდა ამისა, ხაზი უნდა გავუსვათ ორი ქვეყნის მიერ განხორციელებულ ენერგოპროეტებს:

- ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი;
- ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენი;
- გრძელდება თანამშრომლობა სამხრეთის ენერგეტიკული დერეფნის პროექტების განხორციელებისთვის;
- ასევე მიმდინარეობს თანამშროლობა ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის პროექტის რეალიზაციისთვის.

2013 წლიდან ფუნქციონირებს ახალციხე-ბორჩხას მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზიც. აღსანიშნავია საქართველო-აზერბაიჯანი-თურქეთის სამმხრივი ფორმატი, რომელსაც 2012 წელს აღნიშნული ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ ჩაეყარა საფუძველი („ტრაპიზონის დეკლარაცია“). ორი ქვეყნის საქმიანი ურთიერთობა კიდევ უფრო გააღრმავა მაღალი დონის სტრატეგიული თანამშრომლობის საბჭოს დაფუძნებამ. პირველი სხდომას ესწრებოდნენ პრემიერ-მინისტრები 2016 წელს 19 ივლისს, რა დროსაც ხელი მოეწერა „ანკარის განცხადებას“ . მასში ასახულია ქვეყნების თანამშრომლობის ყველა სფერო.

ასევე აღსანიშნავია განათლების სფეროში გადადგმული ნაბიჯები, კერძოდ ქართულ-თურქული დიასპორის ინიციატივით შეიქმნა და წამოდგენილი იქნა პროგრამა ქართული ენის თურქეთის სკოლებში სწავლებასთან დაკავშირებით. მეხუთე, მეექვესე, მეშვიდე და

მერვე კლასებში ათზე მეტი მსურველის არსებობისას დაიშავა ქართული ენის 244 საათიანი კურსის ჩატარება.[12]

[12]ურთიერთობები საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის, https://mfa.gov.ge/

თავიII. საქართველო-თურქეთის საგარეო სავაჭრო პოლიტიკის თანამედროვე მდგომარეობა და მისი განვითარების ტენდენციები

2.1. საქართველოს საექსპორტო სავაჭრო პოლიტიკა თურქეთთან

თანამედროვე ეტაპზე გლობალური ბიზნესის მასშტაბები სწრაფად იზრდება. ყველა ჩამოყალიბებული სახელმწიფოს მიზანია, გამართოს საბაზრო ეკონომიკა, რისთვისაც მისი მთავარი ამოცანაა, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები დაამყაროს სხვადასხვა სახელმწიფოებთან. საქართველოში ნელ-ნელა ვითარდება ეკონომიკური სფეროები. ქვეყნისთვის მთავარი მიზანი არსებული პრობლემების ეფექტურად გადაჭრა და მაღალგანვითარებული ქვეყნების ცხოვრების დონესთან მიახლოებაა.[13]

ქვეყნისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციებში გაწევრიანებას. საქართველო 2000 წელს 14 ივნისს ოფიციალურად გახდა WTO-ს რიგით 137-ე სრულუფლებიანი წევრი ქვეყანა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით; ქვეყანას მსხვილი სავაჭრო ბრუნვა შემდეგ ქვეყნებთან აქვს: „ევროვროკავშირის ქვეყნები EU“, „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა გაერთიანების CIS ქვეყნები“, „შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ქვეყნები BSEC“, „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნები OECD“ და „GUAM-ის ქვეყნები“.[14]

საქართველოს საექსპორტო პროდუქტები ძირითადად ნედლეული შემოიფარგლება. სამწუხაროდ დაუმუშავებელი ნედლეულის ექსპორტზე გატანით ჩვენი ქვეყანა მნიშვნელოვან ფინანსურ რესურს კარგავს. ქვეყანაში წარმოების დეფიციტია და ისეთი სანედლეულო რესურების სხვა ქვეყანაში გატანით, როგორიცაა სპილენძის მადნები, ჯართი, ოქრო, სხვადასხვა სახუქები, ფეროშენადნობები და ა.შ ფაქტობრივად ფინანსური მოგების და შემოსავლის პოტენციალს ვკარგავთ.[15]

---

[13]ი.ნათელაური, საგარეო ეკონომიკური კომპლექსის ფუნქციონირება და განვითარება გარდამავალ ქვეყანაში მცირე ღია ეკონომიკით (საქრთველოს მაგალითზე). თბ., ''მეცნიერება'', 2004 წ.

[14]წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

[15]საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები. ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევრო-პული ცენტრი, თბ., 2008 წ.

ქართული ეროვნული ეკონომიკის ზრდა განსაზღვრულია ექსპორტით, კერძოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციითა და ნედლეულით, რომლებსაც დაბალი დამატებითი ღირებულება აქვთ. საგარეო ვაჭრობის სტატისტიკური ინფორმაციის გაანალიზება უმნიშვნელოვანესი საფუძველია საქმიანობის ეფექტურად წარმართვისთვის, რაც იმას გულისხმობს, რომ გადაიდგას იმგვარი პოლიტიკურ-ეკონომიკური ნაბიჯები, რომლებიც ქვეყნის პროგრესისა და ფინანსური სტაბილურობის მომტანი იქნება. გარდა ამისა, აუცილებელია საზოგადოების მოთხოვნების დაკმაყოფილება. როგორც განვითარებული, ასევე განვითარებადი ქვეყნები იძულებულნი არიან აქტიურად ჩაერთნონ საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში. რადგან ცალკე, ჩაკეტილი ეკონომიკის პირობებში, დღეს შეუძლებელია ქვეყნის არათუ წინსვლა, არამედ სტაბილურობა და არსებული საჭიროებების დაკმაყოფილება. მნიშვნელოვან მაკროეკონომიკურ პარამეტრებში შედის საგარეო ვაჭრობის ბრუნვის მაჩვენებელი, რომელიც საჭიროებს ანალიზს, მინიმუმ ექსპორტისა და იმპორტის დონეზე. მათი შესწავლა სხვა მნიშვნელოვან პარამეტრების შესწავლისა და ანალიზის საშუალებას გვაძლევს. რის შემდეგაც შეიძლება მოვიძიოთ პრობლემები და ვიმსჯელოთ მათი გადაჭრის გზებზე.

საერთაშორისო ეკონომიკური სუბიექტებს გლობალურ ბაზარზე გააქვთ კონკრეტული საქონელი თუ მომსახურება. ცხადია მათთვის ხელსაყრელი პირობებით. ამის ფონზე არსებობენ განვითარებადი ქვეყნები, რომელთა მწარმოებლობაც შესამჩნევად ჩამოუვარდება წარჩინებულ ქვეყნებს. ამ ქვეყნებში შედის საქართველოც და მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით მისი სამომავლო განვითარება, რისთვისაც აუცილებელია პოტენციური შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება საექსპორტო პოტენციალის მქონე დარგების სტიმულირებით. ქვეყანას ნამდვილად გააჩნია დიდი საექპორტო რესურსი, გამორჩეული პროდუქცია და დარგები, რომელიც მას განსაკუთრებულად საინტერესოს ხდის მთელ მსოფლიოში. რესურსული მაჩვენებლის გაუმჯობესებისკენ უმოკლესი გზა ექსპორტზე ორიენტირებული ღონისძიებების გახორციელებაა, ამის სადავეები კი სახელმწიფოს ხელშია.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, საქართველოს სავაჭრო ურთიერთობებში იკვეთება პირველი სამი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანა. ესენია: თურქეთი (1,246.3 მლნ. აშშდოლარი), აზერბაიჯანი (663.7 მლნ. აშშ დოლარი) და ჩინეთი (596.1 მლნ. აშშ დოლარი).

სავაჭრო ურთიერთობებში აქტიური ჩართვა სხვადასხვა პრობლემის მოგვარების თუ საკითხის გადაჭრის გზაა. რესურსების მოპოვებისა და მათი დასაკუთრების სურვილი არც თუ იშვიათად იყო დიდი კამათისა და გაუგებრობის მიზეზიც. საქართველოს ყოველთვის ჰქონდა პოტენციალი, მოხვედრილიყო საკმაოდ წარმატებული ქვეყნების სიაშიც, თუმცა სხვადასხვა მიზეზების გამო ქვეყანა ამ შანსს სათანადოდ ვერ იყენებდა. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ქვეყნები მუდმივად ამყარებენ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს. ყველა ქვეყანა ცდილობს მიიღოს ეკონომიკური სარგებელი, რაც მათ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში დაეხმარება. ეს კი აისახება ქვეყნის თითოეულ მაცხოვრებელზეც. დღევანდელი მსოფლიო გამოცდილებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ უმსხვილესი ეკონომიკის მქონე წამყვანი ქვეყნებიც ქმნიან გაერთიანებებს, რათა მეტი ძალების გამოყენება შეძლონ. საქართველოს ამ მხრივ ევროპასთან შედარებით მცირე გამოცდილება აქვს. თუმცა ბოლო წლებში განსაკუთრებით აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო ურთიერთობებში და იზიარებს სხვა ქვეყნების გამოცდილებასაც.

საქართველოს საექსპორტო მაჩვენებლები და საექსპორტო პროდუქციის ნომენკლატურა არც ისე სახარბიელოდ გამოიყურება. მაგრამ აღნიშნული საექსპორტო მაჩვენებლით თურქეთს ლიდერი პოზიცია უჭირავს. ასევე მნიშნელოვანი წილი უჭირავს აზერბაიჯანს, სომხეთს და რუსეთსაც. ამ უკანასკნელთან საქართველოს არაერთი მწარე გამოცდილება აქვს, განსაკუთრებით ბოლო წლებში ერთ-ერთი მძიმე ფაქტი გახლდათ ემბარგოს დაწესება რუსეთის მხრიდან ქართულ პროდუქტზე (2006 წელი). რასაც საკმაოდ მძიმე შედეგები მოჰქვა ჩვენი ქვეყნისთვის, ფაქტობრივად ჩაიკეტა უმსხილესი ბაზარი ქართული საექსპორტო პროდუქტებისთვის. ქვეყანა ეკონომიკური კრიზისის წინაშე აღმოჩნდა. ასეთ დროს უმნიშვნელოვანესია საერთაშორისო ორგანიზაციებთან აქტიური კომუნიკაცია და თანამშრომლობა, მათთან ინტეგრაციის პროცესების დაჩქარება. რაც

ერთგვარ ბარიერს ქმნის კონკრეტული წევრი ქვეყნის მიერ ინდივიდუალური გადაწყვეტილებების მიღებისას.

დიაგრამაზე წარმოდგენილია 2009-2014 წლებში საქართველოს ექსპორტის დინამიკა თურქეთში.

დიაგრამა №2. საქართველოს ექსპორტი თურქეთში 2009-2014, 1000 აშშ დოლარი



წყარო: საქართველო სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით, ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში კი ნაჩვენებია ბოლო ათი წლის მანძილზე საქართველოს მთლიანი ექსპორტი, ექსპორტი თურქეთში და თურქეთის ხვედრითი წილი მთლიან ექსპორტში:

ცხრილი№1

წელი	**ექსპორტი სულ**	**ექსპორტი თურქეთში**	**თურქეთის ხვედრითი წილი მთლიან ექსპორტში**
2011	**2 186 421.2**	226 387.7	10.35
2012	**2 376 635.4**	140 141.6	5.90
2013	**2 910 314.5**	184 027.9	6.32
2014	**2 861 045.2**	239 301.6	8.36

2015	**2 204 188.6**	186 802.2	8.47
2016	**2 113 044.3**	173 449.0	8.21
2017	**2 735 778.5**	216 673.6	7.92
2018	**3 355 712.2**	233 497.2	6.96
2019*	**3 769 429.1**	202 352.9	5.37
2020 წლის იანვარი *	**262 649.4**	19 862.5	7.56
2020 წლის თებერვალი*	**263 616.8**	16 218.0	6.15
2020 წლის მარტი*	**251 896.4**	17 883.3	7.10
2020 წლის აპრილი*	**223 160.6**	9 309.0	4.17
2020 წლის მაისი*	**234 366.2**	18 457.1	7.88

წყარო: საქსტატი

ექსპორტი წლების მანძილზე ძირითადად შემცირების ტენდენციით ხასიათდება. რაც მეტყველებს იმაზე, რომ საქართველო ვერ იყენებს თავის საექსპორტო პოტენციალს და შესაძლებლობებს მეზობელ ქვეყანასთან, მიუხედავად არსებული ურთიერთთანამშრომლობისა.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ, საქართველოს საგარეო ვაჭრობის 2017, 2018 და 2019 (იანვარ-სექტემბერი)წლის, ანგარიშებში ასახულია ამავე წლებში ქვეყნის საგარეო სავაჭრო ბრუნვასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მონაცემები. კერძოდ: 2017 წელს, თურქეთმა მესამე ადგილი დაიკავა (7.9%) მთლიან ექსპორტში, მეორე ადგილი აზერბაიჯანმა (10%), პირველი რუსეთმა (14.5%) აქვე უნდა აღვნიშნოთ რომ, საექსპორტო პროდუქტებს შორის ლიდერობდა: სპილენძის მადანი, ფეროშენადნობი, მსუბუქი ავტომობილები და ა.შ

2017 წელს, თურქეთში ექსპორტი შემცირდა შემდეგ პროდუქციაზე: სიგარეტი (87%-ით), აზოტოვანი სასუქები (7%-ით), თევზის ფქვილი 24%-ით, თევზის ცხიმი 9%-ით. სამრეზველო პროდუქციიდან ელექტროენერგია 9%-ით, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დამუშვებული ტყავი 25 %-ით, ტრიკოტაჟს ნაწარმი მამაკაცისთვის 5%-ით.

ექსპორტი წინა წელთან შედარებით გაიზარდა ფეროშენადნობებზე - გაიზარდა 109%-ით. მომდევნო წელს წმინდა ექსპორტი გაიზარდა 11 %-ით, მან წინა წლებთან შედარებით მაქსიმუმს მიაღწია და შეადგინა 2 297 მლნ აშშ დოლარი.

2018 წელს თურქეთში გატანილი პროდუქცია გაიზარდა და ესენია: თევზის ცხიმები 62%-ით, ფეროშენადნობები 33%-ით. ხოლო ექსპორტი შემცირდა შემდეგ პროდუციაზე: ოქრო 60%-ით, ნახევარფაბრიკატები ნახშირბადიანი ფოლადისაგან - ექსპორტმა 2018 წელს შეადგინა 22.6 მლნ.აშშ დოლარი, რომელიც სრულად განხორციელდა თურქეთში და იგი წინა წელთან შედარებით შემცირდა 15%-ით. თურქეთში განხორციელდა ექსპორტი შემდეგ პროდუქციაზე (მლნ აშშ დოლარი):

- მაისურები და თბილი კვართები - 40.5 (17.5 %);
- ფეროშენადნობები - 32.5 (14%);
- ნახშირბადიანი ფოლადის ნახევარფაბრიკატები- 22.6 (9.7 %);
- სპილენძის მადნები და კონცენტრატები - 18.5 (8 %);
- ელექტროენერგია -13.8 (6 %);
- მამაკაცის კოსტიუმები და კომპლექტები - 11.0 (4.7%);
- თევზის ფქვილი - 9.6 (4.1%);
- ციანიდები, ოქსიდციანიდები - 7.8 (3.4%);
- შავი ლითონის ნარჩენები და ჯართი - 7.1 (3.1%);
- თევზის ცხიმები - 6.9 (3.0%);
- დაუმუშავებელი ტყვია - 4.7 (2%).

2019 წლის იანვარ-სექტემბერში ექსპორტი შემცირდა შემდეგ პროდუქციაზე: სპილენძის მადნები 26 %-ით, თევზის ფქვილი 52 %-ით, თევზის ცხიმი 58%-ით, ფეროშენადნობები 48%-ით.

2020 წლის იანვარ-მარტის საქსტატის წინასწარი მონაცემებით ყველზე მეტი ექსპორტი განხორციელდა შემდეგ ქვეყნებში: აზერბაიჯანი 121.9; ჩინეთი 99.9; რუსეთი 91.2 მლნ აშშ დოლარი. ხოლო საექსპორტო საქონლის ლიდერ პოზიციაზეა: სპილენძის მადნები 159 მლნ აშშ დოლარი, მსუბუქი ავტომობილები 127.9 მლნ აშშ დოლარი, ფეროშენადნობები 58.2 მლნ აშშ დოლარი.

2.2. თურქეთის საიმპორტო სავაჭრო პოლიტიკა საქართველოსთან

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი გახდა თურქეთი. ეს ნათლად ჩანს ქვეყნის 2014-2019 წლების არა მარტო ექსპორტის, არამედ იმპორტის მონაცემებიდანაც. ზოგადად, ქვეყნების უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან ერთ რეგიონში გაერთიანებული მეზობელი სახელმწიფოები, ასეა საქართველოც, მის საიმპორტო მაჩვენებლებში თურქეთს ლიდერი პოზიცია უჭირავს. ორივე ქვეყანა ერთმანეთს საავტომობილო, სარკინიგზო მაგისტრალებითა და საზღვაო სანაოსნო გზით უკავშირდება. წარმატებულად შეიძლება შეფასდეს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შედეგები. რაც ადგილობრივი წარმოების საქონლის წარმოშობის აღიარებასა და ქვეყნის ტერიტორიაზე მის დაუბეგრავად შეშვებას გულისხმობს. ეს ორი ქვეყანა სხვადასხვა საერთაშორისო გაერთიანების ფორმატშიც ურთიერთობს.

საქართველოსთვის მთავარი საიმპორტო პოტენციალი მოდის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნებზე (OECD). აღნიშნული საერთაშორისო ორგანიზაცია წარმოადგენს განვითარებული ქვეყნების გაერთიანებას, რომლებიც ცნობენ წარმომადგენლობითი დემოკრატიისა და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს. მის წევრ ქვეყნებს შორისაა თურქეთიც. ორგანიზაცია შეიქმნა 1948 წელს. OECD-ს უმნიშვნელოდ ჩამორჩება BSEC- ის ქვეყნები.

მნიშვნელოვანია, რომ წარმოდგენილ ქვეყანათა გაერთიანებებში არსებობს ქვეყნების თანაკვეთა - თურქეთი კი ორივე წარმოდგენილი ორგანიზაციის წევრია. როგორც აღვნიშნეთ, სწორედ ამ ქვეყანაზე მოდის სავაჭრო ბრუნვის მსხვილი წილი.[16]

[16]წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დიაგრამა N3.თურქეთის მთლიანი იმპორტი საქართველოში 2009-2014 წწ.



წყარო: საქართველო სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

ასევე საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით, ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ნაჩვენებია ბოლო ათი წლის მანძილზე საქართველოს მთლიანი იმპორტი წლების მიხედვით, იმპორტი თურქეთიდან წლების მიხედვით და თურქეთის ხვედრითი წილი მთლიან იმპორტში:

ცხრილიN2.

წელი	**იმპორტი სულ**	**იმპორტი თურქეთიდან**	**თურქეთის წილი მთლიან იმპორტში**
2010	**5 235 964.6**	885 903.6	16.92
2011	**7 072 259.8**	1 278 677.3	18.08
2012	**8 056 379.0**	1 470 240.6	18.25
2013	**8 022 546.4**	1 410 197.5	17.58
2014	**8 601 814.4**	1 728 815.7	20.10
2015	**7 300 150.3**	1 327 477.8	18.18
2016	**7 293 932.2**	1 353 584.8	18.56
2017	**7 943 025.4**	1 373 738.9	17.29
2018	**9 136 460.4**	1 473 172.7	16.12

2019*	**9 151 210.7**	1 614 596.6	17.64
2020 წლის იანვარი *	**643 793.5**	98 152.2	15.25
2020 წლის თებერვალი*	**702 220.0**	117 206.1	16.69
2020 წლის მარტი*	**666 227.9**	133 989.9	20.11
2020 წლის აპრილი*	**460 562.8**	57 366.8	12.46
2020 წლის მაისი*	**497 273.1**	72 131.3	14.51

*წინასწარი მონაცემები

წყარო: საქართველო სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

ცხრილში წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველო განსაკუთრებულად დამოკიდებულია თურქეთის საიმპორტო პროდუქციაზე და რომ ექსპორტისგან განსხვავებით იმპორტის პროცენტული წილი წლების განმავლობაში ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

გამოქვეყნებულ 2017-2018-2019 წლის საგარეო ვაჭრობის ანალიზის საფუძველზე: 2017 ექსპორტი გაიზარდა 29.1%-ით იმპორტი გაიზარდა 9.4%-ით. 2017 წელს იმპორტის მიხედვით პირველ ადგილზეა თურქეთი (17.2%), მეორე ადგილი რუსეთმა დაიკავა (9.9%) მესამე კი ჩინეთმა (9.2%). საიმპორტო პროდუქტების ლიდერი იყო ნავთობი და ნავთობპროდუქტები (8.7%), შემდეგ მსუბუქი ავტომობილები (6%), ნავთობის აირები (4.4%)

2017 წელს სამკურნალო საშუალებები - იმპორტმა შეადგინა 346.2 მლნ. აშშდოლარი, საიდანაც თურქეთის წილი იყო (68.4 მლნ. აშშ დოლარი და 20%), იგი გაიზარდა (34%-ით). წნელები - მთლიანი იმპორტი 44.9 მლნ აშშ დოლარი (შემცირდა 17%-ით) , რომელშიც თურქეთის წილი იყო (2.8 მლნ. აშშ დოლარი და 6%). მეტალოკონსტრუქციების იმპორტში თურქეთის წილი იყო (37.6 მლნ. აშშ დოლარი და 56%) და იგი წინა წელთან შედარებით შემცირდა 35 %-ით.

2018 წელს ყველაზე მეტი იმპორტი განხორციელდა თურქეთიდან 1702.8 (13.6%) , შემდეგ რუსეთიდან (11 %) და აზერბაიჯანიდან (8.7%).

თურქეთიდან იმპორტი გაიზარდა შემდეგ პროდუქციაზე: ფრინველის ხორცი

27%-ით, კაკალი, ფისტა, თხილი 13%-ით, ნავთობი და ნავთობპროდუქტები 9%-ით, პლასტმასის შესაფუთი მასალა 15%-ით, რეზინის საბურავები 20%-ით. იმპორტი შემცირდა შემდეგ პროდუქციაზე: სამკურნალო საშუალებები 10 %-ით, პლასტმასის მილები 11%-ით, ტრიკოტაჟის მზა ნაწარმი 5%-ით.

თურქეთიდან განხორციელდა შემდეგი პროდუქციის იმპორტი: (მლნ აშშ დოლარი)

- სამკურნალო საშუალებები - 60.3 (4.1 %);
- მილები, - 49.1 (3.3%);
- მსუბუქი ავტომობილები-44.1 (3%);
- მეტალო კონსტრუქციები შავი ლითონებისაგან -37 (2.5 %);
- კაბელები -31.2 (2.1 %);
- ახალი საბურავები -27.1 (1.8 %);
- ტანსაცმლის თარგები - 26.7 (1.8%);
- პლასტმასის მილები, - 25.4 (1.7 %);
- სარეცხი საშუალებები - 25.2 (1,7%) და ა.შ.

2019 წელს იანვარ-სექტემბერში, იმპორტის მიხედვით ლიდერობს თურქეთი (17.6 %), რუსეთი (10.2%) და ჩინეთი (10%) წილით.

ამავე პერიოდში თურქეთიდან იმპორტი გაიზარდა შემდეგ პროდუქციაზე: ნავთობი-ნავთობპროდუქტები 4-ჯერ, მსუბუქი ავტომობილები 81%-ით. თურქეთიდან იმპორტი შემცირდა შემდეგ პროდუქციზე: არმატურა 42%-ით, კლინკერი 17%-ით, ცემენტი 42%-ით.

2019 წელს იმპორტირებულ საქონელს თუ გადავხედავთ თურქეთს მნიშვნელოვანი წილი უჭირავს არაერთ იმპორტირებულ საქონლის მოცულობაში; მაგალითად: თურქეთის წილი იმპორტირებულ ხახვში 45.9 %ია, ანუ თითქმის ნახევარი, იმპორტირებული კარტოფილის 15.7 % ასევე თურქეთიდან იქნა შემოტანილი, ქათმის ხორცი 19.9 %, თევზი 7.3 %, ბანანი 5.7 %, ციტრუსები 71.2 %, ვაშლი 44.6 %, პომიდორი 96.3 %, კიტრი 58 %. რაც შეეხება ტექნიკის იმპორტს, კონდინციონერების 1.9 % თურქეთიდან იქნა იმპორტირებული, სარეცხი მანქანების 35.9 %, მაცივრები 11.5%,

გაზქურების 70 %, ტელევიზორების 3.3 %, ავტომანქანებისა და სპეცტექნიკის სათადარიგო ნაწილების 17.5 % თურქეთიდან შემოვიდა.

2020 წლის იანვარ-მარტში საქსტატის წინასწარი მონაცემებით: საიმპორტო ქვეყნებს შორის ლიდერი პოზიცია თურქეთმა დაიკავა 348.3 მლნ აშშ დოლარი, მეორე ადგილი რუსეთს უჭირავს 210.1 მლნ აშშ დოლარი, აზერბაიჯანი 184.3 მლნ აშშ დოლარი. ხოლო საიმპორტო საქონლის პირველი სამეული იმპორტის მოცულობის მიხედვით შემდეგია: მსუბუქი ავტომობილები 173.8; ნავთობი და ნავთობპროდუქტები 150.4; ნავთობის აირები 135.15 მლნ აშშ დოლარი.

2.3. საქართველო-თურქეთის საგარეო-სავაჭრო პოლიტიკის განვითარების თანამედროვე ტენდენციები

საბაზრო ეკონომიკის პირობებში და უკვე გლობალურ სამყაროში მუდმივად მიმდინარეოს ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობის, განვითარების გზების ძიება. ახალი სატრანზიტო დერეფნის აღმოჩენა და შექმნა კი, თავის მხრივ, ხელს უწყობს სავაჭრო პროცესების სიმარტივეს, აადვილებს და დროის მხრივ აუმჯობესებს საქონლისა თუ მომსახურების მოძრაობა/ გადაადგილების პროცესებს. გლობალური მეოთხე - ე.წ ციფრული რევოლუცია არის ახალი შესაძლებლობების ათვისების საწინდარი. ამასთანავე განსაკუთრებით აქტუალური ხდება ისეთი საკითხები, როგორებიცაა მზის, ქარის და სხვა ენერგიის წყაროების მოპოვებასა და ეფექტურ გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები.[17]

საქართველოს სავაჭრო პოლიტიკა ძირითადად სწორი მიმართულებით ვითარდება. თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები, დაბალი საბაჟო გადასახადები, ახალი სტრატეგიული პარტნიორ ქვეყნებთან ურთერთობები დადებით გავლენას ახდენს ქვეყანაზე. მაგალითად ჩინეთთან გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება მნიშვნელოვნად იძლევა პროგრესის პოტენციალს. ქართულ მხარეს გაუჩნდა შესაძლებლობა თითქმის ყველა პროდუქციაზე საბაჟო გადასახადების გარეშე

[17]2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია

შევიდეს ჩინეთის ბაზარზე, რომელიც მოგეხსენებათ მასშტაბურია სამომხმარებლო ბაზრის თვალსაზრისით და არამხოლოდ. საქართველომ თითოეული გადადგმული ნაბიჯი და განხორციელებული ცვლილებები თავის სასარგებლო მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს, მითუმეტეს რომ ეს ძალზე სჭრიდება საქართველოს სუსტ ეკონომიკას. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე თავისუფალი ვაჭრობის განვითარება არის გამოსავალი იმ კუთხით, რომ გამოყენებული იქნას ქვეყნის შედარებითი უპირატესობა და რეგიონში სავაჭრო ცენტრის როლი შევასრულოთ.

ეკონომისტები შეჯერდნენ ერთ აზრზე, რომ თავისუფალ ვაჭრობას გაცილებით ეფექტიანი და მომგებიანია ყვეყნისთვის ვიდრე პროტექციონისტული, თუმცა ამ აზრს ზოგიერთი პოლიტიკოსი არ იზიარებს. საქართველოსთვის თავისუფალი სავაჭრო სივრცის გაფართოება და ეკონომიკის ღიაობა გაცილებით ეფექტიანი შედეგების მომტანი იქნება.

გეოპოლიტიკური თვალსაზრისით კი აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ დღეს ჩვენ ევროკავშირში 2.8-ჯერ მეტი პროდუქცია გაგვაქვს, ვიდრე რუსეთში და ევროკავშირიდან 3.2-ჯერ მეტი პროდუქცია შემოგვაქვს, ვიდრე რუსეთიდან.

რაც გულისმხობს იმას, რომ ევროპის ბაზარზე მეტად ვართ დამოკიდებული და მეტ ფინანსურ და სხვა სიკეთეებს ვნახულობთ. თუკი აღმოვჩნდებით არჩევანის წინაშე, ევროპის ბაზრის დაკარგვა მეტ ზარალს მოგვიტანს ვიდრე ჩვენი ჩრდილოელი მეზობლისა.[18]

საქართველოს საგარეო ურთიერთობებს არაერთ ქვეყანასთან ავითარებს. განასკუთრებით აქტუალურია საგარეო ვაჭრობა საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის ტრადიციული ფორმები. საქართველოს ფაქტობრივად მუდმივად აქვს სავაჭრო ბალანსის მუდმივი დეფიციტი. კერძოდ ექსპორტ-იმპორტის სტრუქტურას თუ გადავხედავთ, ექსპორტი ძირითადად სანედლეულო რესურებით შემოიფარგლება ხოლო იმპორტი უკვე გადამუშვებული პროდუქციით, ეს იქნება შუალედური თუ საბოლოო მოხმარების პროდუქტები.

[18]ბ. ნამჩავაძე, საქართველო ცუდი ვაჭარია, 21.02.2017 წ. https://forbes.ge/

რაც შეეხება თურქეთის წილს საქართველოს საგარეო ვაჭრობაში და მის ბრუნვაში,

- 2018 წელს საგარეო ბრუნვაში ლიდერი პოზიცია თურქეთს უჭირავს (1 702.8 მლნ. აშშ დოლარი, წილი 13.6%), მეორე ადგილზეა რუსეთი (1 373 მლნ. აშშ დოლარი, წილი 11. %), ხოლო მე-3-ზე - აზერბაიჯანი(1 088.8 მლნ. აშშ დოლარი, წილი 8.7%).[19]

სავაჭრო ბრუნვა 7 %-ით გაიზარდა მეზობელ თურქეთთან.

- ✓ ექსპორტის მოცულობამ მოიმატა 232.7 მლნ. აშშ დოლარით;
- ✓ იმპორტი მოცულობამ 1 472 მლნ. აშშ დოლარით.

ჩვენი ქვეყნიდან თურქეთში განხორციელებულ ექსპორტში შედის შემდეგი პროდუქცია:

- მაისურები, თბილი კვართები - 40.5 მლნ. აშშ დოლარი (წილი 17.5%):
- ფეროშენადნობები - 32.5 მლნ. აშშ დოლარი (წილი 14%);
- ნახშირბადიანი ფოლადის ნახევარფაბრიკატები-22.6 მლნ. აშშ დოლარი (წილი 9.7%);
- სპილენძის მადნები და კონცენტრატები - 18.5 მლნ. აშშ დოლარი (წილი 8%);
- ელექტროენერგია -13.8 მლნ. აშშ დოლარი (წილი 6%);
- მამაკაცის კოსტუმები, კომპლექტები -11.0 მლნ. აშშ დოლარი (წილი 4.7%);
- თევზის ფქვილი - 9.6 მლნ. აშშ დოლარი (წილი 4.1%);
- ციანიდები, ოქსიდციანიდები - 7.8 მლნ. აშშ დოლარი (წილი 3.4%);
- შავი ლითონის ნარჩენები და ჯართი - 7.1 მლნ. აშშ დოლარი (წილი 3.1%);
- თევზის ცხიმები - 6.9 მლნ. აშშ დოლარი (წილი 3.0%);
- დაუმუშავებელი ტყვია - 4.7 მლნ. აშშ დოლარი (წილი 2%).

თურქეთიდან განხორციელდა შემდეგი საშუალებების იმპორტი[20]: სამკურნალო საშუალებები - 60.3 მლნ. აშშ დოლარი (წილი 4.1%) და მილები და მილაკები - 49.1 მლნ. აშშ დოლარი (წილი 3.3%);

[19]საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2018 წელი http://www.economy.ge/
[20]საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2018 წელი http://www.economy.ge/

2019 წლის იანვარ-სექტემბერში საქართველოს მთლიან სავაჭრო ბრუნვაში პირველი ადგილი დაიკავა თურქეთმა (1 293.8 მლნ.აშშ დოლარიმ წილი 14.1 %), მეორე ადგილი რუსეთმა ხოლო მესამე ადგილი ჩინეთმა დაიკავა.

საქართველოსთვის ძალზედ მნიშვნელოვანია ადგილობრივი პროდუქციის საერთაშორისო ბაზარზე გატანა და დამკვიდრება. პროდუქტი უნდა იყოს კონკურენტული, რაც წარმოუდგენელია მისი ხარისხის გაუმჯობესებისა და ცნობადობის ამაღლების გარეშე. მნიშვნელოვანია ადგილობრივი ფერმერი/მეწარმეებისა და ბიზნესმენსბის ინფორმირება ყველა სიახლესთან და მოთხოვნასთან დაკავშირებით. ამ მხრივ საინტერესოა სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მნიშვნელობა და როლი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს პოტენციური საექსპორტო ბაზრების შესახებ ინფორმაციის დროული მიწოდება მეწარმეთათვის. გააძლიეროს საექსპორტო პოტენციალი. მეორეს მხრივ, კი საერთაშორისო ბაზრებს გააცნობს ჩვენს ქვეყანაში წარმოებულ პროდუქტსა და მომსახურებას. ამ კუთხით მთავრობაც აქტიურად ჩაერთვება ყველა პროცესში და შეეცდება ექსპორტის ხელშემწყობ ღონისძიებების მხარდაჭერას. ამასთანავე საქართველოს მთავრობა აქტიურად ითანამშრომლებს მეზობელ სახელმწიფოებთან, ექსპორტთან დაკავშირებული სხვადასხვა ხელოვნური ბარიერების თავიდან აცილების მიზნით.[21]

[21]2019-2022წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია, გვ.22

თავიIII .საქართველო-თურქეთის მრავალმხრივი ბიზნეს-თანამშრომლობის პრობლემები და მისი სრულყოფის გზები

3.1. საქართველო-თურქეთის საინვესტიციო ურთიერთობები

საქართველოს სავაჭრო, საინვესტიციო, სატრანზიტო ფართო შესაძლებლობებისა და პოტენციალის დიდი ნაწილი დღემდე არ არის გამოყენებელი და ასათვისებელია. საქართველო, როგორ სატრანზიტო ქვეყნის შესაძლებლობებიც ჯერჯერობით ისევ გამოუყენებელია. ვინაიდან ევროპასა და აზიას შორის, საქართველოს გავლით არც ისე დიდი ოდენობის ტვირთი გადაზიდვა ხორციელდება. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს.

დღეის მდგომარეობით ინვესტიციების დიდი ნაწილი დაბანდებულია საგზაო და სარკინიგზო ინფრასტრუქტურაში, თუმცა მიუხედავად ამისა, გაზრდილი ტვირთის მოცულობის სატრანზიტო მოსახურებას ჩვენი ქვეყანა ვერ უზრუნველყოფს არასაკმარისი და არასათანადო სატრანსპორტო და საგზაო ინფრასტრუქტურის გამო.

ასევე პრობლემაა საქართველოს მეზობელ ქვეყნებთან საზღვრის გადაკვეთის პროცედურებს შორის განსხვავება, რასაც გარკვეული სირთულეები ახლავს თან. სატრანზიტო, გადაზიდვის მომსახურების, ასევე ლოგისტიკური მომსახურების ფასი არ არის კონკურენტუნარიანი.[22]

თურქეთში განხორციელებული ვიზიტის დროს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი ქობულია თურქეთის უმსხვილესი ბიზნეს გაერთიანების - საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების საბჭოს (DEIK) პრეზიდენტს ნაილ ოლფაქს შეხვდა, მხარეებმა ისაუბრეს და განიხილეს ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები და საინვესტიციო სფეროში თანამშრომლობის საკითხები.

---

[22]საქართველოს მთავრობის დადგენილება N400, 17.06.2014, ქ. თბ., საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე

შეხვედრაზე ხაზგასმით ითქვა რომ თურქეთი საქართველოში მხვილ ინვესტიციურ რესურსს აბანდებს.

სექტორების ჩამონათვალი კი ასეთია:

- ენერგეტიკა,
- უძრავი ქონება,
- მშენებლობა,
- ტელეკომუნიკაცია,
- სასტუმროებისა და ტურიზმის სექტორი,
- ტრანსპორტი და სხვ.

ამავე შეხვედრაზე ქართულმა მხარემ დაადასტურა სრული მზადყოფნა, თურქეთთან პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავების, საინვესტიციო შესაძლებლობების ძიებისა, და სხვა საკითხების მიმართ. ვიზიტის შემდეგ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი DEIK-ისწევრ კომპანიებთან გამართა შეხვედრა, აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ კომპანიებს მიეკუთვნება ისინი, ვისაც უკვე აქვს საქართველოში ბიზნესი ან უახლოეს მომავალში აპირებს ინვესტიციის განხორციელებას სხვადასხვა სექტორში.

ამასთან დაკავშირებით ისაუბრა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმაც და აღნიშნა, რომ თურქეთის მხრიდან არსებობს განსაკუთრებული ინტერესი საქართველოს ეკონომიკისადმი. ვიზიტის დროს დიალოგის რეჟიმში განიხილეს საქართველოში ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებული საკითები. გარდა ამისა, მათ დააანონსეს თურქი ბიზნესმენების ვიზიტი ქვეყანაში, მნიშვნელოვანი ინვესტიციური რესურსის მობილიზება, რომელიც მიმართული იქნება საექსპორტო პროდუქციისკენ. და გაიზრდება საექსპორტო სექტორები.[23]

საქართველოში განხორციელებულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებით წარმოდგენილია შემდეგი ცხრილი (წყარო, თურქეთის რესპუბლიკის საელჩო საქართველოში)

[23]გიორგი ქობულია თურქეთის საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების საბჭოს (DEIK) პრეზიდენტს ნაილ ოლფაქს შეხვდა, 30.10,2018 http://www.economy.ge/?page=news&nw=941

დიაგრამა N4. ინვესტიციები საქართველოში, 2008-2014,1მლნ აშშ დოლარი



წყარო: თურქეთის საელჩო

აქვე უნდა აღვნიშნოთ, თურქული კომპანიებისა და ორივე მხარის ერთობლივი კომპანიების ზრდადი ოდენობა, საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით მან გადააჭარბა 3200-ს.

რაც შეეხება განხორციელებული ინვესტიციების მოცულობას 2001-2014 წლებში 930 მილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა. ხოლო თურქეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტების გადმორიცხულ თანხებსაც თუ გავითვალისწინებთ, ამ თანხამ 1.2 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა.

დიაგრამა N5. თურქული პირდაპირი ინვესტიციები საქართველოს ეკონომიკის რჩეულ სექტორებში, 2008-2014



წყარო: საქართველო სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

როგორც ვხედავთ, 2008 წლის შემდგომ ინვესტიციების კლება შეინიშნება, 2013 წლიდან კი კვლავ ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

ინვესტიციებთან ერთად საინტერესოა ექპორტიორების აზრიც. მეწარმეთა განცხადებით თურქულ პროდუქციას კონკურენციას ვერ უწევენ, მიუხედვად თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულებისა განსაკუთრებით რთული ვითარებაა სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ექსპორტ-იმპორტთან დაკავშირებით.[24] ფაქტია, რომ ადგილობრივი ფერმერებისმიერ სასოფლო სამეურნეო პროდუქტები კონკურენციას ვერ უწევს იმავე დასახელების თურქეთიდან იმპორტირებულ სასოფლო სამეურნო პროდუქციას.

რაც შეეხება, უბრალოდ, ადამიანების ურთიერთობებს, თურქეთიდან ჩამოსული ვიზიტორების რიცხვი მუდმივად იზრდებოდა წლების მანძილზე, მაგალითისთვის 2005 წლიდან მომდევნო ცხრა წლის მანძილზე ნიშნულმა შვიდ მილიონს მიაღწია. რაც არ

[24]თურქეთთან თავისუფალ ვაჭრობას ევროკავშირი (DCFTA) გამოაცოცხლებს, 11.02.2016
http://eugeorgia.info/ka/article/368/turqettan-tavisufal-vachrobas-evrokavshiri-dcfta-gamoacocxlebs/

ყოფილა შემთხვევითი მოვლენა. ეს იყო გამოვლინება იმ ინტენსიური თანამშრომლობისა რომელიც წლების მანძილზე მიმდინარეობდა ამ ორ ქვეყანას შორის. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავი ფაქტია უვიზო მიმოსვლის რეჟიმის არსებობაც, რომელიც ჯერ კიდევ 2006 წელს შევიდა ძალაში. ხოლო ხუთი წლის შემდეგ ქვეყნების საზღვრის გადაკვეთა პირადობის დამადასტურებელი მოწმობის საფუძველზე გახდა შესაძლებელი. მომდევნო წელს კი ქვეყნების მთავრობებმა დააანონსეს და შეთანხმდნენ ახალი სახმელეთო ოთხი სასაზღვრო პუნქტის შექმნასთან დაკავშირებით: სარფი, ახალციხე, კარწახი,მარადიდი.

რაც შეეხება საქართველოს თურქეთში ჩასულ მოქალაქეებს, თურქულმა მხარემ მნიშვნელოვანი დახმარება აღმოუჩინა საქართველოს მოქალაქეებს. კერძოდ მათთვის ხელმისაწვდომი გახდა თანამედროვე კლინიკებში მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების მიღება.[25]

2012 წელს ქართველი ვიზიტორები ასეთ კატეგორიებს მიეკუთვნებოდნენ:

- სპორტი , სანახაობა , კულტურა - 40.6 %;
- ნათესავების მონახულება - 39.0 %;
- განათლება - 0.5 % ;
- ჯანდაცვა - 0.9%;
- საყიდლები - 13.8 %;
- ტრანზიტი - 1.9 %;
- ბიზნესი (კონფერენციების , სემინარების სხვ . ჩათვლით) - 3.8 %

საქართველოში განხორციელებულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში თურქეთის რესპუბლიკას მნიშვნელოვანი წილი ეჭირა წლების განმავლობაში და ასეა დღესაც. თურქული კომპანიები უმეტესწილად ცენტრალურ ინფრასტრუქტურულ პროექტებში მონაწილეობენ. (მაგალითისთის Anadolu-ჯგუფმა 2014 წელს დასრულებული ჰიდროელექტროსადგური ააშენა.) ბოლო წლების სტატისტიკური მონაცემები კი შემდეგნაირად გამოიყურება: საქსტატის მონაცემებით: 2015 წელს თურქეთიდან

[25]Türkiye istatistic Kurumu Baskanligi, Basm be Halkla Iliskiler Müsavirligi, www.tuik.gov.tr/basinOdasi/Tekzipler/Tekzip_04042013.pdf

განხორციელდა 74 592.3 ათასი აშშ დოლარი და მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში 4.5 %-მდე წილი დაიკავა, 2016 წელს 209 795.9 ათასი აშშ დოლარი (თითქმის 13,4 %), 2017 წელს - 288 108,7 ათასი აშშ დოლარი(15,2 %), 2018 წელს უცხოური ინვესტიციების შემცირდა 11 293,1 ათასი აშშ დოლარით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამა აგებულია საქსტატის მონაცემებზე დაყრდონით; მასზე წარმოდგენილია საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა და თურქეთის პროცენტული წილი მასში (2015-2020 წლის პირველი კვარტალი):

დიაგრამა N6. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში და თურქეთის წილი მასში 2015წ.-2020 წ. I კვარტალი.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც ვხედავთ, თურქულ ინვესტიციებს მნიშვნელოვანი წილი უჭირავს საქართველოს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში.

შემდეგ დიაგრამაზე კი წარმოდგენილია პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში ეკონომიკის სექტორების მიხედვით.

დიაგრამა N7. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში ეკონომიკის სექტორების მიხედვით



	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020წ. I კვარტალი
სხვა	556 459.9	487 316.4	461 569.2	406 353.2	609 065.9	36 073.3
საფინანსო სექტორი	201 988.3	123 350.8	307 753.3	270 700.2	261 753.5	94 893.5
უძრავი ქონება	94 437.7	55 358.6	215 284.2	131 400.7	-32 389.0	34 014.1
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	608 150.6	662 781.9	524 927.9	163 018.7	116 896.0	19 134.2
მშენებლობა	144 370.8	176 511.7	172 521.4	172 968.3	118 481.7	7 703.2
ენერგეტიკა	123 680.6	145 008.1	280 557.5	120 794.9	193 916.2	-26 450.6

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დიაგრამიდან ჩანს, რომ ინვესტიციების მნიშვნელოვანი ნაწილი მიემართება ენერგეტიკის, მშენებლობის, ტრანპორტის, საფინანსო და სხვა სექტორებში.

თურქეთის მხრიდან საქათველოში ინვესტიციის განხორციელების ინტერესს და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილი მზარდია. თურქული კომპანიების მიერ გახორციელებულ ინვესტიციების რამდენიმე მაგალითად მოვიყვან შემდეგს: Fast Track Textile - თურქული კომპანია, რომლის დირექტორსა და გურიის გუბერნატორთან შეხვედრა 2015 წელს გაიმართა. კომპანია, რომელიც მსოფლიოში სპორტული ტანსაცმლის წარმოებითაა ცნობილი, გურიაში რამდენიმე მილიონიან ინვესტიციის განხორციელებას აანონსებს. NATA Holding თურქული, მნიშნელოვნად დიდი გამოცდილების მქონე, სამშენებლო კომპანია, რომელიც წარმოდგენილია არაერთი საწარმოთი თავის ქვეყანაში და რომელიც 2017 წელს, საქართველოს საპარტნიორო ფონდთან გაფორმებული, ურთიერთგაგების მემორანდუმის საფუძველზე, ერთობლივად გადაწყვეტენ კომპანიის საწარმოებისა და

საწარმოთა ხაზის მსგავსი პროექტი განახორციელონ საქართველოშიც, ადგილობრივი ბაზრის თავისებურებების გათვალისწინებით. 2018 წლის ოქტომბერში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრსა და თურქული ავეჯის მწარმოებელი უმსხვილესი 12 კომპანიის ხელმძღვანელების შეხვედრისას განხილული იქნა საქართველოს საბაზრო თავისებურებები და შესაძლებლობები, შეხვედრაზე დაანონსდა - ავეჯის წარმოებაში ინვესტირების განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა საკითხის დეტალური ანალიზი. აღსანიშნავია, რომ შეხვედრა საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა და სამომავლოდ შესაძლოა საქართველოში წარმოებული ავეჯი ექსპორტზეც გავიდეს. ასევე თურქული კომპანია „ქოჩკაბლო"-მ, რომელიც აწარმოებს კაბელებს, 2018 წელს გადაწყვიტა საქართველოში ინვესტიციის განხორციელება და თბილისში კაბელების საწარმოს გახსნა დააანონსა. აღსანიშნავია თურქული კომპანიის „ჩალიკ ჰოდინგის" მიერ გახორციელებული და განსახორციეებელი პროექტები საქართელოში, რომელიც მოიცავს თბო, ქარის, ჰიდროელექტროსადგურებისა და გაზსაცავის მშენებლობის პროექტებს, კომპანია ასევე დაინტერესებულია ტექსტილის პროდუქციის წარმოებითაც.

3.2.საქართველო-თურქეთის საქმიანი თანამშრომლობა ენერგეტიკის სექტორში

ამჟამად, საქართველოს ენერგეტიკის სექტორი, ენერგეტიკული პოლიტიკა და მარეგულირებელი საკანონმდებლო გარემო აქტიური რეფორმისა და განვითარების ფაზაშია. ამასთან აღსანიშნავია, რომ ენრგოეფექტურობის სფეროს რეგულირების მიზნით მომზადებულია კანონპროექტები, ენერგოეფექტურობის შესახებ კანონის პროექტი, შენობების ენერგოეფექტიანობის შესახებ კანონის პროექტი (შენობის ენერგოეფექტიანობის შესახებ კანონის და ენერგო-ეტიკეტირების შესახებ კანონის პროექტები განსახილველად წარდგენილი საქართველოს პარლამენტში), რომელთა ამოქმედების შემდეგ შეიქმნება სამართლებრივი ბაზა ეესგ-თი დასახული მიზნობრივი ღონისძიებების სავალდებულოდ განხორციელებისთვის.

რეფორმებზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს 2014 წლის 27 ივნისს ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შეთანხმება. აღნიშნული შეთანხმების თანახმად,

საქართველომ აიღო ვალდებულება შეასრულოს ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმა (ეესგ) (2019-2020).

ევროკავშირის დირექტივები ენერგეტიკის სექტორში და „მესამე ენერგოპაკეტით“ გათვალისწინებული მოთხოვნები. აღსანიშნავია, რომ 2017 წლის ივლისში საქართველო ენერგეტიკული გაერთიანების სრულუფლებიანი წევრი გახდა.

2017 წლის ენერგეტიკული ბალანსის მიხედვით, საქართველოში ენერგიის მოხმარების დაახლოებით 735 მოდიოდა წიაღისეულ საწვავზე. წიაღისეული საწვავის შიდა მიწოდების 98% იმპორტირებულია მეზობელი ქვეყნებიდან, რაც ნიშნავს, რომ ენერგოუსაფრთხოება და ენერგოდამოკიდებულება ქვეყნისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს - განსაკუთრებით იმ ფონზე, რომ რეგიონი ხასიათდება გარკვეული სირთულეებით. სიტუაციას ასევე ამძაფრებს ბოლო წლებში წიაღისეული საწვავის მოხმარების ზრდის ტენდენცია, რაც განაპირობებს იმპორტის მოცულობის ზრდას. ყველაზე დიდი მატება შეინიშნება ბუნებრივი გაზის იმპორტში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეკონომიკა სხვა ქვეყნებთან შედარებით არ ხასიათდება ენერგოინტენსიური მრეწველობის დარგებით, მისი მთლიანი შიდა პროდუქტის ენერგოინტენსიურობა კვლავ ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე მაგალითად თურქეთის, რომლის ეკონომიკური სტრუქტურა (სამრეწველო სექტორი) ხასიათდება მაღალი ენერგომოხმარებით. აღნიშნული ფაქტორი მიუთითებს, რომ საქართველოში ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების პოტენციალი არსებობს.[26]

ინვესტირების მთავარი ბარიერები და მამოძრავებელი ფაქტორები[27] ენერგეტიკულ სექტორში, კერძოდ, გენერაციის ობიექტების განვითარებაში ინვესტორები ინვესტიციების გახორციელებისგან თავს იკავებენ არსებული მაღალი რისკის გამო, თუ უზრუნველყოფილნი არ იქნებიან წარმოებული გენერაციის რეალიზაციის გარანტირებული პირობებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, ინვესტირების ზოგიერთი მთავარი მასტიმულირებელი ფაქტორია: აღნიშნულის გათვალისწინებით, ინვესტირების ზოგიერთი მთავარი მასტიმულირებელი ფაქტორია:

[26]ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმა (ეესგ) (2019–2020), გვ. 22
[27]ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმა (ეესგ), (2019–2020), გვ. 34

- თურქეთის ბაზარი, სადაც შესაძლებელია ელექტროენერგიის ექსპორტი;
- ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის მყარი გარანტიები, რომელსაც გასცემს ესკო მთავრობის მხარდაჭერით;
- წარმოების განვითარება - საქართველოში რამდენიმე კომპანია მხოლოდ საკუთარი წარმოების განვითარების მიზნით აწარმოებს ელექტროენერგიას;
- USAID-ის G4G პროექტი, რომლის მიზანია შექმნას სავაჭრო მექანიზმი, რაც საშუალებას მისცემს ქართველ მწარმოებლებს ივაჭრონ თურქეთის ბაზარზე.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ელექტროენერგიისა და გაზის განაწილების შესახებ რეგულაციები ენერგოეფექტურობის განვითარების მნიშვნელოვანი ხელშემწყობი მექანიზმებია.

ბუნებრივი გაზის სექტორში ინვესტირებას ხელს უწყობს მთავრობის მიერ ჩატარებული ღონისძიებები რეგიონებში ბუნებრივი გაზის ქსელის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და დასახლებული პუნქტების გაზიფიცირების მიზნით. სადისტრიბუციო კომპანია SOCAR-ჯორჯია ახორციელებს ინვესტიციას და მომხმარებლების ქსელზე დაერთებას არსებული საკანონმდებლო ნორმატივების შესაბამისად.[28]

სამხრეთ კავკასიაში არსებული თითოეული სიახლე და ცვლილება თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში სხვა ქვეყნებზეც აისახება. მეოცე საუკუნის მიწურულ რეგიონმა ნელნელა დაიწყო ახალ ეტაპზე გადასვლა, გამოცოცხლება დაიწყო და ახალი შესაძლებლობები მისცა მას. სსრკ-ს დაშლა მისი უკვე ყოფილი რეპუბლიკებისა და დასავლეთის ქვეყნების ურთიერთობის განახლების საფუძველი იყო. ინტერესი კი გახლდათ ამ სივრცეში არსებულ წიაღისეულსა და ნედლეულზე. ისეთი ბუნებრივი რესურსებით, როგორიცაა ნავთობი, გაზი და ა.შ, მდიდარი ქვეყნებისთვის მნიშვნელოვანი იყო და არის დასავლეთში გადასატანი გზების ძიება და აღმოჩენა, რათა თავი დააღწიონ რუსეთს და იმპოლიტიკურ და ეკონომიკურ რიკებს რომელიც აღნიშნულ ქვეყანას უკავშირდება. მაგალითითად ბუნებრივი აირით მდიდარ თურქმენეთს,

[28]bunebrivi gazis momaragebis deregulacia da nawilobrivi deregulacia, 2008 wlis 24 ivlisis energetikis ministris brZenaba # 73.

პოსტსაბჭოთა სივრცის გარეთ ვერ გაჰქონდა. ვინაიდან რუსეთს კონკურენტი არ სჭირდებოდა ევროპის ბაზარზე და თავად სურდა მთლიანი ევროპის ბაზრის დაპყრობა. ყველა მილსადენი რუსეთის ტერიტორიაზე გადიოდა და შესაბამისად ახალი გზები ძიების პროცესში სამხრეთ კავკასია აღმოჩნდა მნიშვნელოვანი გზაგამტარი. ამ უკანასკნელის მნიშვნელობის ზრდა გამოწვეული იყო აზიის რესურსებთან სიახლოვით, ასევე რუსული პოლიტიკით და ირანის რადიკალიზმით.

რაც შეეხება ჩრდილოეთ-სამხრეთის დერეფნის პერსპექტივას, ამ უკანასკნელის შესუსტების მიზეზი იყო ჩვენს ჩრდილოელ მეზობელთან დაძაბული პოლიტიკური ვითარება და კონფლიქტები. საქართველოს მნიშვნელობის წინ წამოწევას ხელი შეუწყო ასევე რეგიონში თურქეთსა და სომხეთს შორის არსებულმა დაძაბულმა ურთიერთობამ. რომ არა ყარაბახის კონფლიქტი სავარაუდოდ თურქეთი აზერბაიჯანს, სომხეთის გავლით, უმოკლესი გზით დაუკავშირდებოდა.

3.3. საქართველო-თურქეთის სატრანზიტო დერეფნის თავისებურებანი და მისი სრულყოფის გზები

საქართველო თურქეთის სატრანზიტო თავისებურების განხილვა უნდა დავიწყოთ პროექტ „ევროპა-კავკასია-აზია“ სატრანსპორტო დერეფნის პროექტით, რომელიც შედგა 1993 წელს ბრიუსელში. რომლის მიზანი და არსიც იყო აღნიშნული რეგიონების ქვეყნებს შორის ურთიერთობის გამარტივება, პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავება და ისეთი ერთიანი სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფდა ტვირთის გადაზიდვას და მგზავრთა გადაყვანას. სატრანსპორტო ხაზებს შორის იგი არის ერთ-ერთი, რომელიც ევროპას აკავშირებს აზიასთან შავი და კასპიის ზღვების გავლით. პროექტი შედგა 8 ქვეყნის მონაწილეობით. აღნიშნული კონფერენციაზე ბრიუსელის დეკლარაცია შედგა და ევროკავშირის დაფინანსებით ტექნიკური ხელშეწყობის რეგიონთაშორისო პროგრამას ჩაუყარა საფუძველი. აღნიშნული პროექტის მონაწილე ქვეყნები გახლდათ: ყაზახეთი, ყირგიზეთი, სომხეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი,

საქართველო, თურქმენეთი და აზერბაიჯანი.[29] დღეის მდგომარეობით კი მონაწილე ქვეყნების რიცხვი 13-ია. კერძოდ პირველად დაემატა მოლდოვა და უკრაინა, ხოლო შემდგომ 2000 წელში - თურქეთი, ბულგარეთი და რუმინეთი.[30]

იმ პროექტთაგან რომელმაც დიდი როლი ითამაშა რეგიონის სატრანზიტო დერეფნად ჩამოყალიბებაში აღსანიშნავია:

1. „TRACECA ისტორიული აბრეშუმის გზის აღდგენა“ - კონფერენცია შედგა აზერბაიჯანის დედაქალაქში ჯერ კიდევ 1998 წელს და პროექტის მიხედვით უკვე არსებულ ევროპასა და აზიის დამაკავშირებელ სატრანზიტო გზის სიგრძეს ორჯერ ამცირებდა. რაც, ცხადია ამ პროექტის განხორციელების მნიშვნელობას უსვამდა ხაზს და შესაბამისად დაინტერესებაც არანაკლები იყო.

   აღნიშნული პროექტის დაწყებიდან დღემდე ,,ტრასეკამ“ დააფინანსა არაერთი პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა პარტნიორი ქვეყნების დახმარებას სხვადასხვა ასპექტით. მაგალითად ხელშეწყობას ახალი სატრანსპორტო გზების ძიებაში, ასევე ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვებაში, პოლიტიკური სიტუაციის დასტაბილურებაში და ა.შ.[31]

2. მეორე მნიშვნელოვან პროექტი, რომელსაც ხელი შეუწყო რეგიონის სატრანზიტო, ევრაზიის დამაკავშირებელი დერეფნის ჩამოყალიბებას, „INOGEOT“ - რომელიც მიზნად ისახავდა იყო ენერგეტიკული თანამშრომლობის გაღმრმავებას საერთაშორისო დონეზე. აღნიშნულ პროექტს საფუძველი 1995 წელს ჩაეყარა.

   პროექტი მხარდაჭერი გახლდათ ევროკავშირი, მხარდაჭერა მიზნად ისახავდა ნავთობისა და ბუნებრივი აირის რესურის ევროპაში ტრანსპორტირების ხელშეწყობას. პროექტი ორიენტირებული იყო ენერგორესურსების მილსადენებზე, აღმოსავლეთ ევროპის და კავკასიის გავლით ევროკავშირისკენ. აღნიშნულ პროექტში გარდა ევროკავშირის ქვეყნებისა ასევე მონაწილეობს თურქთი და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები (რუსეთის და ბალტიისპირეთის ქვეყნების გარდა).

---

[29]მანჩხაშვილი, თბ., 2014, გვ.198
[30]გორგილაძე, თბ., 2005, გვ.86
[31]ივერია, 2017 წ.

INOGATE-ის პარტნიორი ქვეყნები არიან:

- ✓ აზერბაიჯანი
- ✓ საქართველო
- ✓ სომხეთი
- ✓ ბელარუსი
- ✓ უკრაინა
- ✓ მოლდოვა
- ✓ თურქეთი
- ✓ ტაჯიკეთი
- ✓ უზბეკეთი
- ✓ ყაზახეთი
- ✓ თურქმენეთი
- ✓ ყირგიზეთი

საქართველო მუდმივად ცდილობს გააღრმაოს თანამშრომლობა თურქეთის რესპუბლიკასთან სხვადასხვა სფეროში. მაგალითად როგორიცაა: სატრანსპორტო, სავაჭრო, ეკონომიკური, ენერგეტიკის კულტურის საკითხები. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია სტრატეგიული თანამშრომლობის საბჭოსთან თანამშრომლობა და ურთიერთობა. ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფის და სატრანსპორტო დერეფნის განვითარების თვალსაზრისით, აზერბაიჯანთან და თურქეთთან პრიორიტეტული იქნება „სამხრეთის დერეფნისა“ და ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის პროექტების გახორციელება. რეგიონული პარტნიორობის განვითარების კონტექსტში, საქართველოსთვის მნიშვნელოვანია საქართველო-თურქეთი-აზერბაიჯანის სამმხრივ ფორმატში ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის გაღრმავება.[32]

საქართველოსთვის სატრანსპორტო დერეფნის როლის აქტუალობისთვის მნიშვნელოვანია რეექსპორტი. ოპერაცია, რომელიც გულისხმობს საქონლისა თუ მომსახურების გადაადგილებას ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში სხვა ქვეყნის გავლით. ზოგადად რეესპორტი ოპერაცია ფინანსური თვალსაზრისთ საკმაოდ მომგებიანი

[32]ორმხრივი ურთიერთობებიურთიერთობები რეგიონის ქვეყნებთან, https://mfa.gov.ge/

შესაძლოა აღმოჩნდეს. ქვეყანას შეუძლია მნიშვნელოვანი ფინანსური რესურის მობილიზება და გამოყენება. მითუმეტეს, თუ ვსაუბრობთ საქართველოზე, რომელსაც ევროპისა და აზიის გზაგასაყარზე იმყოფება და ყოველთვის მნიშვნელოვან გეოპოლიტიკური სივრცის ნაწილს წარმოადგენდა. საქართველომ სატრანზიტო დერეფნის ფუნქცია გონივრულად უნდა გამოიყენოს. ასევე საქონლის რეექსპორტთან ერთად მომსახურების რეესქპორტის განხორციელებაც შესაძლებელია. გარდა ამისა, ქვეყანას აქვს რესურსი გაუმჯობესოს თავის საექსპორტო პროდუქცის ნომეკლატურა, გამოიყენოს საკუთარი ბუნებრივი რესურსები გონივრულად და ეფექტურად. გადაამუშაოს მოპოვებული ნედლეული, განახორციელოს პროდუქციის არა ნედლეულის სახით, არამედ უკვე გადამუშვებული ნახევარფაბრიკატებისა თუ მზა პროდუქციის ექსპორტი. რისი წყალობითაც ქვეყნის ექსპორტის ჯამური შემოსავალი მნიშვნელოვნად გაიზრდება. ექსპორტის ზრდა კი პირდაპირ, დადებით ზემოქმედებას მოახდეს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. დროთა განმავლობაში შემცირდება ექსპორტსა და იმპორტს შორის დისბალანსი. ექსპორტის ზრდა, გარკვეულწილად ქვეყნის დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლებასაც შეუწყობს ხელს.[33]

საქართველოს საგარეო პოლიტიკა მიმართულია ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესოს დემოკრატიის მაღალ სტანდარტებზე დაყრდნობით. ასევე იზრუნოს ინვესტიციების მოზიდვაზე, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვაზე, ქვეყნის პოტენციალის გამოყენების ამაღლებასა და შესაძლებლობების გამოყენებაზე. შესაბამისად ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ამოცანები მდგომარეობს შემდეგში:

1. ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ჰაბის ფუნქციის განმტკიცება, სხვადასხვა ეროვნული თუ რეგიონული პროექტების განხორციელებისთვის ხელშეწყობა, სატრანსპორტო, სატელეკომუნიკაციო, ციფრული, ენერგეტიკული და საინვესტიციო და სხვა სფეროებში.

[33]თ. თაფლაძე, საქართველოს ექსპორტი პოსტკომუნისტურ პერიოდში, 2010, https://www.researchgate.net/publication/316463099_sakartvelos_eksporti_postkomunistur_periodshi

2. ჩქაროსნული ავტომაგისტრალის, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტისა და სხვა მიმდინარე და სამომავლო პროექტების განხორციელებისთვის ხელშეწყობა.
3. ლიბერალური სავაჭრო რეჟიმების გაფართოება და ექსპორტის ხელშეწყობა.
4. საერთაშორისო თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმატებში აქტიური თანამშრომლობა, პირველ რიგში მსოფლიო და რეგიონულ ეკონომიკურ ფორუმებში.
5. შავი ზღვის ეკონომიკური როლის გაძლიერება. სატრანზიტო შესაძლებლობების პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენება; რეგიონის ქვეყნებთან ტვირთბრუნვის მოცულობისა და მიმოცვლის სიჩქარის ზრდა, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სხვადასხვა რეგიონიდან ტვირთების მოზიდვა.
6. ტურისტული პოტენციალის კიდევ უფრო ეფექტური გამოყენება.[34]
7. თურქეთის რესპუბლიკასთან არსებული ურთიერთობების შემდგომი გაღრმავება და ორმხრივ სარგებელზე ორიენტირებული თანამშრომლობის განვითარება, ენერგეტიკის ეკონომიკის, სატრანზიტო, უსაფრთოებისა და სხვა სფეროებში თანამშრომლობის განმტკიცება.

ასევე, საქართველოს ძალისხმევა მიმართული იქნება საქართველო-თურქეთი-აზერბაიჯანის სამმხრივი ფორმატის გაძლიერებისკენ.[35]

[34]2019-2022წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია, გვ. 8
[35]2019-2022წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია, გვ. 8

დასკვნა

საქართველომ დამოუკიდებლობის აღდგენისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის რთული პროცესი, ახალი პარტნიორი ქვეყნების დახმარების წყალობით გადაიტანა. ისეთი პარტნიორების როგორიცაა; თურქეთი, ევროკავშირი და აშშ. მათ დახმარების ხელი გამოუწოდეს ჩვენს ქვეყანას და ურთულეს ვითარებაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ჩვენი ქვეყნის გადარჩენაში. საქართველომ თავისი ადგილი ნაწილობრივ უკვე დაიმკვიდრა გლობალურ სამყაროში.

საქართველოს მეზობელ, აწ უკვე სტრატეგიულ სავაჭრო პარტნიორ, თურქეთთან რამდენიმე ათწლიანი მეგობრული ურთიერთთანამშრომლობისა გამოცდილება აქვს. ურთიერთობები, რომლებიც ემყარება ორივე მხარის თავისუფალ ნებას და რომლის კიდევ უფრო გაღრმავების საფუძველი საერთო ინტერესები და ტერიტორიული სიახლოვეა. ქვეყნებს შორის თითმის ყველა ბარიერი გადაილახა თანამშრომლობით, ღიაობისა და თავისუფალი ნების საფუძველზე.[36]

თურქეთთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმებამ, საქართველოს ეკონომიკის რთულ სიტუაციიდან გამოყვანის შესაძლებლობები მისცა. ბევრი შეიძლება ვისაუბროთ აღნიშნული ხელშეკრულების პირობებზე, მის შედეგებზე, ეფექტიანობაზე და ა.შ. თუმცა ვთანხმდებით, რომ ხელშეკრულების ასიმეტრიულობის მიუხედავად, თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი მეზობელ ქვეყანასთან საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა.

რაც შეეხება ექსპორტის განვითარებას, ქვეყანას ნამდვილად აქვს პოტენციალი, რომლის გამოყენებაც ეფექტიანად შეიძლება, თუმცა არსებობს სხვადასხვა შემაფერხებელი გარემოებები და ფაქტორები. სხვადასხვა ტექნიკური ბარიერები, ინვესტიციების არასაკმარისი მოცულობა, საჭირო ინფრასტრუქტურის დეფიციტი ან საერთოდაც არ არსებობა, ინფორმაციის არასაკმარისი დონე, ლოგისტიკის დარგის გაუმართაობა, სახელმწიფოს მხრიდან ექსპორტის არასათანადო ხელშეწყობა, ყოველივე

[36]ჯანდიერი, გ., „თურქულ-ქართული ეკონომიკური ურთიერთობები“ (ექსპერტის აზრი), თბ., 2016 წ., გვ.17

ეს და კიდევ სხვა უამრავი ფაქტორი უარყოფით გავლენას ახდენს მასზე და აფერხებს ექსპორტის განვითარებას.

ცხადია ექსპორტის ზრდა/განვითარებაზე უნდა იზრუნოს როგორც სახელმწიფომ ასევე კერძო სექტორმა. თუმცა სახელმწიფოს მხირიდან ამ შემთხვევაში საჭიროა მეტი ჩართულობა , პრობლემების კვლევა-ანალიზი და მათი მოგვარების ეფექტიანი გზების ძიება. მაგალითისთვის, სახელმწიფო უფრო აქტიურად უნდა იკვლევდეს და ეძებდეს ახალ ბაზრებს, მეტად უნდა შეუწყოს ხელი და დააფინანსოს ადგილობრივი რესურსების წარმოებასთან დაკავშირებული საქმიანობები, ასევე დაიცვას ქართველი ექსპორტიორების ინტერესები საერთაშორისო ბაზრებზე, აქტიურად ითანამშრომლოს ქვეყნებთან სხვადასხვა ტექნიკური ბარიერების აღმოფხვრის საკითხებში, განავითაროს სატრანსპორტო ინფრატრუქტურა და ა.შ

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიასთან დაკავშირებულ მთავრობის დადგენილებაში საუბარია, რომ მთავრობა უზრუნველყოფს საერთაშორისო დონეზე აღებულ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას. ამასთანავე აქცენტს გააკეთებს მეზობელ პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებაზე, ტექნიკური თუ სხვა ბარიერების აღმოფხვრაზე.[37]

თურქეთ-საქართველოს შორის წლების განმავლობაში არსებობდა ორხმრივი თანამშრომლობისა და თანამეგობრობის სურვილი.

- თურქეთის განსაკუთრებული ინტერესი საქართველოს მიმართ განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორით: 1. თურქეთისთვის საქართველო საკუთარი ადგილობრივი პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილის გასაღების ბაზარს წარმოადგენს; 2. საქართველო თურქული გამოთავისუფლებული კაპიტალის საინვესტიციო სივრცეა; 3.თურქეთისთვის საქართველო წარმოადგენს სატრანზიტო დერეფანს ცენტრალური აზიის ქვეყნებისკენ;
- საქართველოსთვის კი; 1.თურქეთი პროდუქციის უდიდესი გასაღების ბაზარს წარმოადგენს, განსაკუთრებით კი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების

[37]საქართველოს მთავრობის დადგენილება N400, 17.06.2014

გაფორმების შემდგომ; 2. თურქეთი საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი ქვეყანაა. 3. აღსანიშნავია ყოველწლიურად პირდაპირი თურქული ინვესტიციების მოცულობა და მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნისთის; 4. თურქეთი საქართველოსთვის ევროპის ბაზრებისკენ მიმავალი სატრანზიტო დერეფანია, 5. თურქეთი უდიდეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყანასთან ერთად, ასევ მთავარი პარტნიორი ქვეყანაა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და სხვა მეგაპროექტებშიც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გორგილაძე, თბ., 2005;
2. ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმა (ეესგ) (2019–2020);
3. მანჩხაშვილი, თბ.,2014;
4. ნათელაური ი. საგარეო ეკონომიკური კომპლექსის ფუნქცი-ონირება და განვითარება გარდამავალ ქვეყანაში მცირე ღია ეკონომიკით (საქართველოს მაგალითზე). თბ., ''მეცნიერება'', 2004;
5. საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები. ეკონომიკური პო-ლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევრო-პული ცენტრი, თბ., 2008;
6. საქართველოს მთავრობის დადგენილება N400, 2014 წლის 17 ივნისი, თბ., საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე;
7. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქსტატი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2019 - 09.09.2019 წ.;
8. ჯანდიერი, გ., „თურქულ-ქართული ეკონომიკური ურთიერთობები“ (ექსპერტის აზრი), თბ., 2016 წ.;
9. 2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია;
10. გიორგი ქობულია თურქეთის საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების საბჭოს (DEIK) პრეზიდენტს ნაილ ოლფაქს შეხვდა, 30.10,2018 http://www.economy.ge/?page=news&nw=941 ;
11. თაფლაძე, თ., საქართველოს ექსპორტი პოსტკომუნისტურ პერიოდში, 2010, https://www.researchgate.net/publication/316463099_sakartvelos_eksporti_postkomunisturr_periodshi ;
12. ურთიერთობები საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის; https://mfa.gov.ge/

13. თურქეთთან თავისუფალ ვაჭრობას ევროკავშირი (DCFTA) გამოაცოცხლებს , 11.02.2016წ. http://eugeorgia.info/ka/article/368/turqettan-tavisufal-vachrobas-evrokavshiri-dcfta-gamoacocxlebs/ ;
14. ნამჩავაძე, ბ., საქართველო ცუდი ვაჭარია, 21.02.2017 წ. https://forbes.ge/news/1911/saqarTvelo-cudi-vaWaria ;
15. მჭედლიძე, კ., თურქეთ-საქართველოს ეკონომიკური თანამშრომლობა https://www.radiotavisupleba.ge/a/georgia-turkey-trade-economics-cooperation/24681244.html
16. ორმხრივი ურთიერთობები ურთიერთობები რეგიონის ქვეყნებთან, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო https://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy/%E1%83%9D%E1%83
17. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო http://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=12;
18. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროhttp://www.economy.ge/
19. ურთიერთობები საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის, https://mfa.gov.ge/ ;
20. შეთანხმება - საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის შემოსავლებზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ https://mof.ge/images/File/dabegvra/DTA/turketi_GEO.pdf
21. ორმხრივი ურთიერთობები - ურთიერთობები რეგიონის ქვეყნებთან https://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy/%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%AE%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98-%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.aspx
22. ბერიძე, ი., საქართველო-თურქეთის სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობები დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, თბ, 2019.
23. საქართველოს საგარეო ვაჭრობა - 2017 წელი http://www.economy.ge/uploads/files/2017/foreign_trade/trade_turnover_2017_12_month_final_11.pdf

24. საქართველოს საგარეო ვაჭრობა - 2018 წელი http://www.economy.ge/uploads/files/2017/foreign_trade/2018_trade_turnover_2018_12.pdf
25. საქართველოს საგარეო ვაჭრობა-2019 წლის იანვარ-სექტემბერი http://www.economy.ge/uploads/files/2017/foreign_trade/trade_turnover_2019_9_month_final.pdf
26. საქართველო და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები - მიმოხილვა https://bm.ge/ka/article/saqartvelo-da-tavisufali-vachrobis-xelshekrulebebi---mimoxilva/51105
27. სამმხრივი ალიანსი: თურქეთი-საქართველო-აზერბაიჯანი https://forbes.ge/news/2696/sammxrivi-aliansi
28. Türkiye istatistic Kurumu Baskanligi, Basm be Halkla Iliskiler Müsavirligi, www.tuik.gov.tr/basinOdasi/Tekzipler/Tekzip_04042013.pdf ;
29. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური https://www.geostat.ge/ka
30. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სააგენტო http://www.economy.ge/
31. საქართველოს მთავრობა http://www.gov.ge/
32. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო https://mfa.gov.ge/
33. საქართელოს საელჩო თრქეთის რესპუბლიკაში http://www.turkey.mfa.gov.ge/
34. https://bpi.ge/turquli-kompania-guriashi-ramdenime-milioni-dolaris-investicias-ganakhorcielebs/
35. https://fortuna.ge/fortuna/post/turquli-samsheneblo-kompania-saqartveloshi-qarkhanas-gakhsnis
36. http://www.economy.ge/?page=news&nw=939
37. http://gbc.ge/index.php?m=home&newsid=99036&lang=geo
38. https://www.bpn.ge/article/21761-turkuli-kompaniebi-sakartveloshi-msxvili-sainvesticio-proektebis-ganxorcielebas-gegmaven/
39. https://commersant.ge/ge/post/turquli-bazari-qartuli-gvinistvis-uperspeqtivoa-ratom-ver-itvisebs-milionian-kvotas-saqartvelo

დანართი N1


ათი უმსხვილესი საექსპორტო ქვეყანა 2017-2018 წლებში
Top trading partners by exports in 2017-2018
(მლნ. აშშ დოლარი, Million US Dollars)
540
450
360
270
180
90
0
272.1
502.0
396.7
436.6
210.3
278.7
186.9
258.9
216.7
233.5
201.7
198.0
124.5
175.0
121.8
160.0
51.8
90.8
64.2
80.5
აზერბაიჯანი Azerbaijan
რუსეთი Russia
სომხეთი Armenia
ბულგარეთი Bulgaria
თურქეთი Turkey
ჩინეთი China
უკრაინა Ukraine
აშშ United States
ყაზახეთი Kazakhstan
უზბეკეთი Uzbekistan
2017
2018


ათი უმსხვილესი საიმპორტო ქვეყანა 2017-2018 წლებში
Top trading partners by imports in 2017-2018
(მლნ. აშშ დოლარი, Million US Dollars)
1 500
1 000
500
0
1 373.7
1 473.0
786.9
934.9
732.9
833.9
567.0
593.0
446.0
514.8
434.2
431.5
268.3
359.5
281.3
335.3
134.8
262.6
218.0
231.4
თურქეთი Turkey
რუსეთი Russia
ჩინეთი China
აზერბაიჯანი Azerbaijan
უკრაინა Ukraine
გერმანია Germany
აშშ United States
სომხეთი Armenia
საფრანგეთი France
იტალია Italy
2017
2018

უმსხვილესი საექსპორტო საქონლის ათეული 2018 წელს (%)
Share of major commodity positions in 2018 (%)



უმსხვილესი საიმპორტო საქონლის ათეული 2018 წელს (%)
Share of major commodity positions by imports in 2018 (%)



ექსპორტი საერთაშორისო ვაჭრობის სტანდარტული კლასიფიკაციის მიხედვით
Export by Standard International Trade Classification (SITC Rev.4)

მლნ. აშშ დოლარი სექციის დასახელება	2015	2016	2017	2018	Mill. USD Name of section
ექსპორტი - სულ	**2 204.2**	**2 113.0**	**2 735.8**	**3 355.7**	**Total Exports**
მათ შორის:					Of which:
საკვები პროდუქტები და ცოცხალი ცხოველები	327.6	364.0	296.1	302.4	Food and live animals
სასმელები და თამბაქო	271.0	312.5	463.9	630.8	Beverages and tobacco
არასაკვები ნედლი მასალები, საწვავის გარდა	330.1	386.0	494.4	595.6	Crude materials, inedible, except fuels
მინერალური საწვავი, საცხები და მათთან დაკავშირებული მასალები	136.4	62.3	108.9	70.3	Mineral fuels, lubricants and related materials
ცხოველური და მცენარეული ზეთები, ცხიმები და ცვილები	8.0	9.7	12.8	15.6	Animal and vegetable oils, fats and waxes
ქიმიკატები და მასთან დაკავშირებული პროდუქტები, სხვაგან დაუსახელებელი	317.5	230.6	292.9	332.9	Chemicals and related products, n.e.s.
სამრეწველო საქონელი (ნაწარმი) ძირითადად კლასიფიცირებული შემადგენელი ნედლეულის მიხედვით	320.5	292.1	490.4	573.8	Manufactured goods classified chiefly by material
მანქანები და სატრანსპორტო მოწყობილობები	294.3	238.4	364.9	589.8	Machinery and transport equipment
შერეული სამრეწველო საგნები (ნივთები)	130.5	114.2	133.7	163.5	Miscellaneous manufactured articles
საქონელი, რომელიც სხვაგან არაა კლასიფიცირებული სვსკ-ში	68.4	103.3	77.8	80.9	Commodities not classified elsewhere in the SITC

უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები 2017 წლის ბრუნვის მიხედვით
Top trading partners by turnover in 2017

ქვეყნები	ექსპორტი Exports		იმპორტი Imports		ბრუნვა Turnover		Countries
	მლნ. აშშ დოლარი	წილი (%)	მლნ. აშშ დოლარი	წილი (%)	მლნ. აშშ დოლარი	წილი (%)	
	Mill. USD	Share (%)	Mill.USD	Share (%)	Mill. USD	Share (%)	
სულ	**2 735.8**	**100.0**	**7 943.3**	**100.0**	**10 679.1**	**100.0**	**Total**
მათ შორის:							Of which:
თურქეთი	216.7	7.9	1 373.7	17.3	1 590.4	14.9	Turkey
რუსეთი	396.7	14.5	786.9	9.9	1 183.5	11.1	Russia
ჩინეთი	201.7	7.4	732.9	9.2	934.6	8.8	China
აზერბაიჯანი	272.1	9.9	567.0	7.1	839.2	7.9	Azerbaijan
უკრაინა	124.5	4.6	446.0	5.6	570.6	5.3	Ukraine
სომხეთი	210.3	7.7	281.3	3.5	491.6	4.6	Armenia
გერმანია	45.7	1.7	434.2	5.5	479.8	4.5	Germany
აშშ	121.8	4.5	268.3	3.4	390.1	3.7	United States
ბულგარეთი	186.9	6.8	155.5	2.0	342.4	3.2	Bulgaria
იტალია	69.5	2.5	218.0	2.7	287.5	2.7	Italy
დანარჩენი ქვეყნები	890.0	32.5	2 679.4	33.7	3 569.4	33.4	Other countries

უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები 2018 წლის ბრუნვის მიხედვით
Top trading partners by turnover in 2018

ქვეყნები	ექსპორტი Exports		იმპორტი Imports		ბრუნვა Turnover		Countries
	მლნ. აშშ დოლარი	წილი (%)	მლნ. აშშ დოლარი	წილი (%)	მლნ. აშშ დოლარი	წილი (%)	
	Mill. USD	Share (%)	Mill.USD	Share (%)	Mill. USD	Share (%)	
სულ	**3 355.7**	**100.0**	**9 136.7**	**100.0**	**12 492.5**	**100.0**	**Total**
მათ შორის:							Of which:
თურქეთი	233.5	7.0	1 473.0	16.1	1 706.5	13.7	Turkey
რუსეთი	436.6	13.0	934.9	10.2	1 371.5	11.0	Russia
აზერბაიჯანი	502.0	15.0	593.0	6.5	1 095.1	8.8	Azerbaijan
ჩინეთი	198.0	5.9	833.9	9.1	1 031.9	8.3	China
უკრაინა	175.0	5.2	514.8	5.6	689.8	5.5	Ukraine
სომხეთი	278.7	8.3	335.3	3.7	614.0	4.9	Armenia
აშშ	160.0	4.8	359.5	3.9	519.5	4.2	United States
გერმანია	51.5	1.5	431.5	4.7	483.0	3.9	Germany
ბულგარეთი	258.9	7.7	181.6	2.0	440.5	3.5	Bulgaria
საფრანგეთი	44.7	1.3	262.6	2.9	307.3	2.5	France
დანარჩენი ქვეყნები	1 016.6	30.3	3 216.7	35.2	4 233.3	33.9	Other countries